საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკური სიცრუეა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 4 მაისი. 2022 წ. №56 (9394) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი



თაღლითების ჯიშ-ჯილაგი

ისე ნუ მოიქცევით, რომ ყველა შვილმოკლულმა დედამ და დაზარალებულმა ოჯახმა ერთად მოგთხოვოთ პასუხი, თქვენი გამოგზრდილი სადისტის მიერ უდანაშაულო ადამიანების დაღვრილი სისხლისა და ცრემლის ყოველი წვეთისთვის. თქვენ არ გაქვთ უფლება, ულტიმატუმის ენით გვესაუბროთ. ეს, ჩვენ გაძლევთ ვადას, დაასრულოთ თქვენი უნიჭო სპექტაკლები და შეეგუოთ იმას, რომ კრიმინალის ადგილი ციხეშია

2-3

კოლექტიური არესტოვიჩების თვითლუსტრაცია წინასწარ დაწერილი სცენარის ნაწილია!

მოიხმარს თუ არა პატიმარი სააკაშვილი „ქსანაქსს“ და ფსიქოტროპულ მედიკამენტებს?!

თუ გულში მუდამ გაზაფხულია...

6-7

ანუ ამბავი წამის მეხუთედში გაჩენილი სიყვარულისა, რომელმაც სამოცდასამი წელიწადი გაუძლო ცხოვრების არცთუ იოლ აღმართ-დაღმართს

სახელმწიფო ბიუჯეტის მძარცველი კლინიკები

კოვიდკლინიკებს ორი წლის განმავლობაში, მინიმუმ 40 პროცენტ ცარიელ საწოლებში, სახელმწიფო ფულს უხდიდა! 4

მანანა ხომერიკი:



ფიროსმანი 1918 წლის 4 მაისს გარდაიცვალა

იხ. 5 გვ.

ომარ მარგველაშვილი:

შეხვედრა მცხეთელ გოლიათთან

იხ. 9 გვ.

სალომე ზურაბიშვილი: ევროკავშირი ჩვენი ყველაზე დიდი იმედია!

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გერმანიაში, ბერლინის კედელთან იმყოფებოდა.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, ბერლინის კედელი ყველასთვის, უკრაინელებისთვის, ქართველებისთვის, მოლდოველებისთვის არის ყველაზე დიდი მაგალითი, რომ ყველაფერი შესაძლებელია.

„ბერლინის კედელი ჩვენთვის, ყველასთვის უკრაინელებისთვის, ქართველებისთვის, მოლდოველებისთვის არის ყველაზე დიდი მაგალითი, რომ ყველაფერი შესაძლებელია, ყველაფერი თავდება. ბერლინის კედელიც დაინგრა, საბჭოთა კავშირიც დაინგრა და არაფერი არ არის შეუძლებელი. გუშინ შევიტანეთ ჩვენი კითხვარი ევროკავშირში, ხვალ გავხდებით ევროკავშირის წევრი და ეს არის ყველაზე დიდი იმედი, ამ ხალხმა ეს იმედი გაამართლა“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

...აქ მთავარია არა სისწრაფე, არამედ — პასუხების ხარისხი

ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, კარლ ჰარცელმა, უპასუხა ჟურნალისტების კითხვას საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე კითხვარის შევსების შესახებ და აღნიშნა, რომ პასუხების პირველი ნაწილის მომზადებისას, საქართველომ ვადა კარგად დაიცვა. ასევე, ელჩი აღნიშნავს, რომ მთავარია არა პასუხების გაცემის სისწრაფე, არამედ — მათი ხარისხი.

„დიდი პატივი მერგო, რომ პრემიერ-მინისტრისგან კითხვარის პირველი ნაწილის პასუხები მივიღე და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მეორე ნაწილიც დროულად იქნება მოწოდებული. დრო კარგად იყო დაცული. რაც შეეხება პროცესს — ეს პროცესი არ არის 100-მეტრიანი სპრინტი, აქ მთავარია არა სისწრაფე, არამედ — პასუხების ხარისხი. ასევე, ევროკომისიისგან იქნება ძალიან ობიექტური შეფასება პასუხებისა. ეს ეხება საქართველოს ერთგულებას ევროკავშირის ფუნდამენტური ღირებულებების მიმართ და მთავარ ეკონომიკურ კრიტერიუმს. რაც შეეხება ვადებს, მე ველოდები, რომ ევროკომისია მომდევნო თვეში წარადგენს მოსაზრებას საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის შესახებ“, — განაცხადა კარლ ჰარცელმა. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ კარლ ჰარცელს ევროკომისიის კითხვარის პირველი ნაწილი 2 მაისს გადასცა.

დღეს ქართული მედია პლურალისტური და თავისუფალია!

ყველა მედიასაშუალებასა და თითოეულ ჟურნალისტს გულითადად გილოცავთ პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ სოციალურ ქსელში დაწერა.

როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, პრესის თავისუფლების ინდექსით საქართველო რეგიონში უდავო ლიდერია და არაერთ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსაც უსწრებს.

„ფასეულობებსა და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული, თავისუფალი და დამოუკიდებელი პრესა ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელია. ქართულმა მედიამ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ურთულესი გზა გაიარა, გაუძლო მრავალ გამოწვევას, შევიწროებასა თუ ზეწოლას.

ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად სწორედ პრესის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა დაისახა. ამ მიზნით გავატარეთ არაერთი რეფორმა. დღეს ქართული მედია-სივრცე პლურალისტური და თავისუფალია, ყველა პირობაა შექმნილი ჟურნალისტიკის გაძლიერებისა და შემდგომი განვითარებისთვის. პრესის თავისუფლების ინდექსით საქართველო რეგიონში უდავო ლიდერია და არაერთ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსაც უსწრებს. ეს ყველაფერი ხელისუფლებისა და საზოგადოების, მთლიანად ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. ჩვენი ხელისუფლება მოწოდებულია, ხელი შეუწყოს პრესის თავისუფლების კიდევ უფრო განვითარებას.

კვლავაც თანადგომას გპირდებით და შემდგომ წარმატებებს გისურვებთ პროფესიულ საქმიანობაში“, — წერს ირაკლი ღარიბაშვილი.

შალვა პაპუაშვილი: უკრაინის სტრუქტურები საკუთარი განცხადებების დამაჯერებლობას აზიანებენ

უკრაინის სტრუქტურები საკუთარი განცხადებების დამაჯერებლობას აზიანებენ, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა უკრაინის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების საბჭოს მდივან ალექსეი დანილოვის განცხადებაზე დასმული კითხვის პასუხად თქვა.

მისი თქმით, ნატოს წევრი ქვეყნისთვის რუსეთთან კავშირის ბრალდების წაყენებით, უკრაინის სტრუქტურები საკუთარი განცხადებების დამაჯერებლობას აზიანებენ.

„სამწუხაროდ, ბოლო პერიოდი გვესმის ასეთი სახის ბრალდება, მოვისმინეთ საქართველოს მიმართ, მოვისმინეთ სომხეთის, აზერბაიჯანის, ახლა უნგრეთის მიმართ გვესმის ბრალდება. როგორ წარმოგიდგენიათ, როცა ნატოს წევრ ქვეყანას ბრალდებას წაუყენებ, რომ ის რუსეთთან არის კავშირში. სამწუხაროდ, ამითი უკრაინის სტრუქტურები საკუთარი განცხადებების დამაჯერებლობას აზიანებენ და შედეგიც არის ეს“, — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა. უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის, ალექსეი დანილოვის განცხადებით, უნგრეთმა უკრაინის წინააღმდეგ თავდასხმის მზადების შესახებ წინასწარ იცოდა.

მოიხმარს თუ არა პატიმარი სააკაშვილი „ქსანაქსს“ და ფსიქოტროპულ მედიკამენტებს?!

მოიხმარს თუ არა პატიმარი სააკაშვილი ფსიქოტროპულ და დამამშვიდებელ მედიკამენტებს, მაგალითად „ქსანაქსს“, — ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას იუსტიციის მინისტრი, რატი ბრეგაძე ამბობს, რომ ეს ინფორმაცია პირადი ხასიათის მონაცემებს შეიცავს და უწყება მოკლებულია შესაძლებლობას, რომ ამის შესახებ ისაუბროს. როგორც იუსტიციის მინისტრმა „ქრონიკის“ ეთერში განაცხადა, თუკი სახალხო დამცველის ექსპერტების ჯგუფს წერილობითი თანხმობა აქვს, მაშინ მათ შეუძლიათ ისაუბრონ იმის შესახებ, თუ რა მედიკამენტებს მოიხმარს მიხეილ სააკაშვილი.

„სწორედ იმ დასკვნაში, უფრო სწორად დასკვნის დანართში, სახალხო დამცველის მიერ მოწერილ წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ დანართის ეს ნაწილი არ არის საჯარო, საუბარია მათ შორის მედიკამენტების ჩამონათვალზე, რომელსაც ღებულობს მსჯავრდებული. ეს განეკუთვნება პერსონალური ხასიათის მონაცემებს და ბუნებრივია, ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას, ამის შესახებ ვილაპარაკოთ წერილობითი თანხმობის გარეშე. თუკი წერილობითი თანხმობა აქვს ექსპერტების ჯგუფს, მაშინ შეუძლიათ ამის შესახებ თავადაც ისაუბრონ“, — განაცხადა რატი ბრეგაძემ.

ირაკლი ღარიბაშვილმა ნონა გაფრინდაშვილს დაბადების დღე მიულოცა!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ლეგენდარულ მოჭადრაკე **ნონა გაფრინდაშვილს** დაბადების დღეს ულოცავს.

„დიდი სიყვარულითა და განსაკუთრებული პატივისცემით დაბადების დღეს ვულოცავ მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალს, ლეგენდარულ ნონა გაფრინდაშვილს. ნონა გაფრინდაშვილმა საქართველოს სახელი მრავალჯერ გაიტანა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ყოველთვის სიამაყით გვავსებდა თავისი ღირსეული ასპარეზობითა და დიდი გამარჯვებებით. ქალბატონმა ნონამ ოლიმპიადებსა თუ ჩემპიონატებში ყველა თავისი მონაწილეობა ქართული სპორტის წინსვლისა და მისი გულშემატკივრების უზარმაზარი სიხარულის საფუძვლად აქცია. მთელი გულით ვუსურვებ ქალბატონ ნონას მხნეობას, დღეგრძელობასა და ბედნიერებას“, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მილოცვაში.

რესპუბლიკური საავადმყოფოს გენერალურ დირექტორად ლიკა ჭუმბურიძე დაინიშნა

— ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ილია ღუდუშაურმა განაცხადა.

მისი განმარტებით, მას შემდეგ, რაც პანდემია შესუსტდა, კლინიკებში, მათ შორის კერძო კლინიკებში არის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რადგან ახალი გარემოებებიდან გამომდინარე, კლინიკებს სჭირდებათ ახალი მიმართულებების დამატება, ასევე სერვისების გადაწყობა. ილია ღუდუშაურის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც არის მნიშვნელოვანი ცვლილებები.

„რამდენიმე დღე იყო დაკეტილი და არ იღებდა პაციენტებს, რადგან მიმდინარეობდა შესაბამისი სამუშაოები, რათა მომხდარიყო მისი გადაწყობა ჰიბრიდულ რეჟიმზე. ამასთან ერთად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შეიცვალოს ხელმძღვანელობა და გენერალურ დირექტორად დაინიშნა ლიკა ჭუმბურიძე, რომელიც უხელმძღვანელებს ახალი სერვისების დამატებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ასევე გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას.

არსებული მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება კლინიკაში და უხელმძღვანელებენ იმ მიმართულებებს, რასაც აქამდე ხელმძღვანელობდნენ. ამასთან, კლინიკა განახლებულ რეჟიმში იმუშავებს, ასევე წარმოდგენილი იქნება სტრატეგია, რა სერვისები იქნება დამატებული და რა პერიოდში“, — განაცხადა ილია ღუდუშაურმა. რესპუბლიკური საავადმყოფო რჩება ერთ-ერთ უმსხვილეს სახელმწიფო კლინიკად, რომლის განვითარებაც სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

აპრილში საქართველოში წლიურმა ინფლაციამ 12.8 პროცენტი შეადგინა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2022 წლის აპრილში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1.8 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 12.8 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას , საქსტატის ცნობით, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის აპრილში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 5.7 პროცენტით განისაზღვრა.

„ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 3.3 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 1.11 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (9.0 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (7.4 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (4.7 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (4.1 პროცენტი), თევზეული (3.5 პროცენტი), ხილი და ყურძენი (3.2 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (2.2 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (1.8 პროცენტი);

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 3.7 პროცენტით, რაც 0.46 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები გაზრდილია სატრანსპორტო მომსახურებაზე (4.6 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (3.9 პროცენტი);

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 4.9 პროცენტიანი მატება, რაც თვის ინფლაციაზე 0.17 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია როგორც ფეხსაცმლის (9.5 პროცენტი), ისე ტანსაცმლის (2.9 პროცენტი) ქვეჯგუფებზე“, — აღნიშნულია საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში.

ისე ნუ მოიქცევით, რომ ყველა შვილმოკლულმა დედამ და დაზარალებულმა ოჯახმა ერთად მოგთხოვოთ პასუხი, თქვენი გამოგზრდილი სადისტის მიერ უდანაშაულო ადამიანების დაღვრილი სისხლისა და ცრემლის ყოველი წვეთისთვის. თქვენ არ გაქვთ უფლება, ულტიმატუმის ენით გვესაუბროთ. ეს ჩვენ გაძლევთ ვადას, დაასრულოთ თქვენი უნიჭო სპექტაკლები და შეეგუოთ იმას, რომ კრიმინალის ადგილი ციხეშია.

მაია ელოშვილი:

კოლექტიური არესტოვიჩების თვითლუსტრაცია წინასწარ დაწერილი სცენარის ნაწილია!

...თქვენ, ვინც პრაგმატულ გათვლას უწოდებთ სააკაშვილ-ალასანია-ზელენსკი-არახამია-დანილოვ-არესტოვიჩის განზრახვას, საქართველოში, რუსეთისთვის მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე და ამით ამართლებთ ჩვენი ხელისუფლების დაუსრულებელ ლანძღვას უკრაინიდან, ხართ ქვეყნის მტრები და ნაცმკვლელთა ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილს, ყალბი პატრიოტული პათოსით ფუთავთ.

უკრაინიდან, ყოველდღიურ რეჟიმში, კოლექტიური არესტოვიჩების თვითლუსტრაცია, წინასწარ დაწერილი სცენარის ნაწილია და არა, ემოციური ფონით გამოწვეული წამოცდენები. არესტოვიჩი ისე შევიდა როლში, რომ გამაოგნებელი განცხადებებისა და აღიარებითი ჩვენებების გამო, თუ როგორ გაწირა ხელისუფლებამ უკრაინელი ხალხი, ბატალიონ „აზოვის“ წევრებიც კი ემუქრებიან.

უკრაინაში მოკალათებული საქართველოს მტრების გათვლა – საქართველოს ხელისუფლების ძალადობით შეცვლა, სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლება და ე.წ. მეორე ფრონტის გახსნაა.

რუსულ-უკრაინული-ამერიკულ-ევროპულ-ქართული ე.წ. ომის პარტიის წარმომადგენლებს ვურჩევ, ერთხელ და სამუდამოდ გაიგოთ, რომ საქართველო ეკუთვნის ქართველ ხალხს და არა რომელიმე ხელისუფლებას, ან პარტიას.

ქართველი ხალხის უმეტესობა მხარს უჭერს, ხელისუფლების მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად დეკლარირებულ სამშვიდობო პოლიტიკას.

მოსახლეობის უმრავლესობისთვის ნათელია პოლიტკრიმინალების „პროდასავლური საგარეო ორიენტაციისა და ევროპული ფასეულობების“ ეგიდით წარმოებული კამპანიის მიზანი – „პრორუსის“ იარლიყის მიწებებით მოახდინონ ყველა იმ ადამიანის დისკრედიტაცია, დაშინება-დაშანტაჟება, ვინც ეწინააღმდეგება ნაცების ხელისუფლებაში მობრუნებას.

მოაზროვნე საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ქართულ პოლიტიკაში რეალურად არსებობს მხოლოდ ერთი ორიენტაცია და მას „დიდი ფულის შოვნა“ ჰქვია.

პოლიტიკური სპექტრი სავსეა ათასი ჯურის აგენტებით და ე.წ. საქმოსნებით, რომელთაც არ აინტერესებთ არცერთი პოლიტიკური მიმდინარეობა თუ საგარეო ორიენტაცია. სწორედ ამიტომ, რამდენიმე ათეული წელია ქვეყანაში ვერ შეიქმნა მყარი პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე პარტიები, მკაფიოდ განსაზღვრული მემარჯვენე, მემარცხენე თუ ცენტრისტული მიმართულებებით და ე.წ. ქრონიკული პარლამენტარები ხან ერთ პარტიას წარმოადგენენ, ხან – მეორეს. ხან ერთია პრორუსი, მეორე პროდასავლელი და პირიქით. როლები იცვლება, მსახიობები – არა.

სინამდვილეში, ეს პოლიტიკური თაღლითები არიან ყველგან, სადაც დიდი ფულია. მათთვის „ფულს სუნი არა აქვს“...

30 წელია, ვუყურებთ თავიდან ბოლომდე გახრწნილ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, თავისი ე.წ. მედიით და მსუყედ დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებითა და „ყველაფერშიკი“ ექსპერტებით, რომლებიც პარტიულ დავალებებს ასრულებენ და სარფიანად ჰყიდიან სამშობლოს და საკუთარი შვილების მომავალს. ჰყიდიან ყველგან და ყველაზე, დოლარსა თუ ევროზე, მანეთსა თუ ლარზე, ნაღდად თუ უნაღდოდ.

მათგან ზომბირებული მოსახლეობის ნაწილის ფსიქიკური მდგომარეობა ისეთ კრიტიკულ ზღვარზეა, რომ მიშას თუ გრიშას კრიტიკის გამო, მეზობელს, ნათესავს, მეგობარს, ნაცნობს თუ უცნობს, უწყევლიან შვილებს, უსურვებენ სიკვდილს, ემუქრებიან განადგურებით და ანგარიშსწორებით. მიშას თუ გრიშას კი, საკუთარი მხარდამჭერები რუსული გემის მიმართულებით ჰყავთ გაშვებული და მათ, როცა საკუთარი მიზნებისთვის სჭირდებათ, საზარბაზნე ხორცად დაუფიქრებლად იყენებენ...

ფსევდოპატრიოტიზმით შეპყრობილ ადამიანებს ვერაფრით დააჯერებ, რომ სააკაშვილი მკვლელი, სადისტი, ძალაუფლების ჟინით შეპყრობილი თაღლითია, რომელმაც საძართველოს დაკარგულ ტერიტორიებს ძვეების გროვა უწოდა, დახოცილი ბიძების ცხედრები მზის გულზე მიატოვა, რუსთაველზე წაგებული ომი იზეიმა, პატიმრები აწამა, ეკლესია დაანგრია, ოჯახები ამოწყვიტა, ნახევარი საქართველო უკანონო პატიმრად აქცია, ომის შემდეგ კი, ათეულობით სტრატეგიული ობიექტი რუსეთს მიჰყიდა, ოკუპანტს საშიზო რეჟიმი მოუხსნა და რუს ტურისტებს დიდი პატივით, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან თავად ხვდებოდა. ახლა კი, თავს პუტინის პატიმარს უწოდებს და ივანიშვილის, როგორც რუსი ოლიგარქის მიმართ, საერთაშორისო სანქციების დაწესებას მოითხოვს.

ფაქტები, მტკიცებულებები, ვიდეო ჩანაწერები, სამეგრელოს ტყეში, მიწაში ჩაფლული ათასობით პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერები, მათთვის დამაჯერებელი არ არის.

არც ალასანია, სააკაშვილი, ბენდუძიძე, ხოშტარია (გავრილოვის სტუდენტი), ვაშაძე, ნაყოფია და გავრილოვის სხვა მოწაფეები, ასევე უკრაინის ხელისუფლებაში მოკალათებული რუსეთში აღზრდილ-განათლებამიღებული და ბიზნესების მფლობელი, პროვოკატორი ზელენსკები, არახამიები, არესტოვიჩები და სხვები არიან პრორუსები. მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ფულს აძვს რუსული სუნი, რუსეთის მოძალაძე, „კაგებეშნიკი“ ალასანია-ნაყოფიას ფულს კი, ამერიკული შეფერილობა და სასიამოვნო, დასავლური სურნელი ასდის.

ამ ადამიანებისთვის, სააკაშვილ-კეზერაშვილის პარტიული ტელევიზიები ჭეშმარიტების ბოლო ინსტანცია, მათი მხარდამჭერი ე.წ. ცნობადი სახეები კი – ხელშეუვალი ავტორიტეტები არიან.

ნაცმკვლელები ებძროდნენ ე.წ. წითელ ინტელიგენციას და პარალელურად ქმნიდნენ ძირითადად უნიჭო, საკუთარი ტელევიზიებით გაპიარებულ „ელიტას“. მათ აქვთ საავტორო გადაცემები, მდარე კომედიური შოუები თუ სერიალები და ამ ხელოვნურად შექმნილ ვარსკვლავებს, როგორც პარტიულ აქტივს, „მიშა მაგარიას“ აკომპანიმენტით, საარჩევნო კამპანიებში იყენებენ. ამით, ამომრჩევლის ნაწილს აჯერებენ, რომ „პროდასავლური ელიტა და ხალხი“ მათთან დგას, დანარჩენები კი, პუტინისტები და პრორუსები არიან.

ყველამ, ვინც აზროვნებს, კარგად იცის, რომ სააკაშვილი საქართველოში არეულობის მოსაწყობად ჩამოვიდა და ახლა, ხელმოცარული, სიმულაციის გზით ცდილობს თავი დააღწიოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმისთვის შეუსაბამო, ძალზედ მცირე სასჯელის აღსრულებას.

ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი ექიმები, რომელთა ფსიქიკური მდგომარეობა ასევე ეჭვს იწვევს. ისინი წერენ ყალბ დასკვნებს, იძლევიან ფალსიფიცირებულ რეკომენდაციებს, სვამენ გაურკვეველ დიაგნოზებს და არც პროფესიული ეთიკა, არც საკუთარი ავტორიტეტი არ ადარდებთ. ნაცვლად იმისა, რომ მათ მიმართ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა ყალბი სამედიცინო დიაგნოზებისა და დასკვნების გამო, მიმდინარეობს მათი სიყალბის ტირაჟირება სახელწოდებით: „მიშას პუტინის დავალებით კლავენ“, მმართველი ძალა კი, როგორც ყოველთვის, თავის მართლების რეჟიმშია...

სამარცხვინოა, ე. წ. სახალხო დამცველი, რომლის ერთადერთი საზრუნავი – ნაცმკვლელთა დაცვა და საერთაშორისო ასპარეზზე მათი ინტერესების წარმოდგენაა. ლომჯარიას ყველა საჯარო განცხადება თუ ძმედება არის ანტისახელმწიფოებრივი და მის მიერ ომბუდსმენის ინსტიტუტის ნაცმკვლელთა პარტიულ დანაყოფად ქცევა, საჭიროებს სამართლებრივ რეაგირებას.

სააკაშვილის მიმართ დასავლეთის ძვეყნების ზოგიერთი წარმომადგენლის მხარდაჭერა კი, პირდაპირპროპორციულია მათთვის გადახდილი თანხის ოდენობისა და არაფერი აძვს საერთო მის უდანაშაულობასა და სამართალთან.

მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა სპექტრმა, საკუთარი თავი ამოწურა.

საჭიროა, პოლიტიკურ პროცესში ახალი სახეების გამოჩენა და პოლიტვაჭრების ასპარეზიდან განდევნა. თუ, ხელისუფლება ვერ მოახერხებს განახლებას და ნაცკრიმინალთა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღკვეთას, მათთვის სათანადო ადგილის მიჩენას და ისეთი პოლიტიკური პროცესის წარმართვას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბუნებრივი, კონსტრუქციული, სახელმწიფო ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკური ოპოზიციის წარმოჩენას, აუცილებელი გახდება საზოგადოების თვითორგანიზება, ახალი ორგანიზაციების შექმნა და მათი პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა.

ჩვენ, მოსახლეობის უმრავლესობა, ალარ და ველარ მოვითმენთ ნაცკრიმინალთა თავაშვებულ, დაუსრულებელ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს და დაუსჯელობას.

ჩვენ არ დავუშვებთ ნაცების და მათი ძოლგის ძვეშ გაერთიანებული პოლიტიკანების ხელისუფლებაში ძალადობრივი გზით მოსვლას.

სახელმწიფო ბიუჯეტის მძარცველი კლინიკები

კოვიდკლინიკებს ორი წლის განმავლობაში, მინიმუმ 40 პროცენტ ცარიელ საწოლებში, სახელმწიფო ფულს უხდიდა!

შეუძლებელი და პრინციპულად მიუღებელია, მოძალადეებისა და ბიუჯეტის ხარჯზე, სახელმწიფო კონკრეტულ კლინიკებს ამდიდრებდეს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა, ზურაბ აზარაშვილმა განუცხადა.

კოვიდკლინიკების მხრიდან ფინანსური კრიზისის შესახებ გაკეთებული განცხადებებისა და სახელმწიფოს მხრიდან კოვიდხარჯების მოხსნის შესახებ დასმულ კითხვაზე, ზურაბ აზარაშვილმა განაცხადა, რომ სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია, რომ კოვიდკლინიკებს ხარჯების შემცირების შესახებ ხუთი დღით ადრე აცნობეს.

„არანაირი ხუთი დღე არ ყოფილა. ამ ხუთი დღით, რატომ აპელირებენ, არ ვიცი. ჩვენ იანვრიდან მოყოლებული აქტიურად ვაკვირდებოდით კლინიკებში დატვირთულობას. ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ჩვენი თანამშრომლების ათი-თორმეტი ჯგუფი მთელი საქართველოს მასშტაბით დადიოდა კლინიკებში. იქ არის მიღების მკაცრი კრიტერიუმები, რა კრიტერიუმების შესრულების შემთხვევაშიც უნდა მიიღოს კლინიკამ პაციენტი და ასევე, გაწერის კრიტერიუმები. სამწუხაროდ, არც ერთი კრიტერიუმი არ სრულდებოდა და ხელოვნურად ხდებოდა კლინიკებში პაციენტების რაოდენობის ზრდა. დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ჩვენს თანამშრომლებს, რომლებიც ინდივიდუალურად, თითოეულ კლინიკაში უყურებდნენ როგორც შესვლის, ისე გაწერის კრიტერიუმებს. ზუსტად ეს იყო იმის საფუძველი, რომ არ იყო გადავსება და პიკურ პერიოდში საშუალოდ სულ 6 000 პაციენტი იყო კლინიკებში. ის 9 200 მობილიზებული საწოლი, იანვრის დასაწყისში რომ მოვედი, პირველივე კვირაში დავინახე გასული და პიკური პერიოდიდან გამომდინარე, რომ არ იყო ამდენი საწოლის არსებობის აუცილებლობა“, – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა. მისივე თქმით, 1 700 საწოლი მინისტრობის პირველსავე კვირაში გააუქმა.

„მაშინაც იყო ძალიან ბევრი პრეტენზია, მაშინაც იყო საჩივრები, რომ თითქოს არასწორად ვაკეთებდით რამეს, თითქოს ქვეყანა პიკზე მიდიოდა და ჩვენ არ გვექნებოდა საკმარისი საწოლები. ახლა ვხედავთ, რომ ეს გადაწყვეტილება მაშინაც სწორი იყო, თან ვსაუბრობთ ისეთ საწოლებზე, რომლებიც იყო ცარიელი და რომელშიც სახელმწიფო ორი წლის განმავლობაში იხდიდა თანხას, არც თუ ისე ცოტას. თითოეულ ცარიელ საწოლში დაახლოებით 120(60 ლარს იხდიდა სახელმწიფო ორი წლის განმავლობაში. მთლიან დატვირთულობას რომ გადავხედოთ, ანუ მათი პრეტენზიების საპასუხოდ, საშუალოდ 60 პროცენტი იყო დატვირთულობა და წარმოიდგინეთ, ორი წლის განმავლობაში მინიმუმ 40 პროცენტ ცარიელ საწოლებში სახელმწიფო იხდიდა ფულს. ზუსტად ეს თანხა უნდა ყოფილიყო იმისთვის საკმარისი, სანამ შეტყობინებებს მივცემდით და ფაქტობრივ, სამართლიან ანაზღაურებაზე გადავიყვანდით კლინიკებს. ამ ორი წლის განმავლობაში ერთი მილიარდი ლარია მინიმუმ გადახდილი ამ ყველაფერში. დანაშაული, რასაც ჩემი აზრით სჩადიოდნენ, როცა ექთნებსა და ექიმებს სახელმწიფოს მიერ გადახდილ დანამატებს არ აძლევდნენ. სამწუხაროდ, რამდენიმე კლინიკაში არის შემთხვევები, როდესაც დირექტორები და მოადგილეები ხუთჯერ-ათჯერ იზრდიდნენ ყოველთვიურ ხელფასებს და ამას აკეთებდნენ სახელმწიფოს ხარჯზე. ინფექციის კონტროლის ხარვეზებთან, ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით, როცა გვექნება საერთო სურათი, გპირდებით, კონკრეტული კლინიკის დასახელებებს, სად რა პრობლემაა ინფექციის კონტროლის, მკურნალობის პროტოკოლის შეუსრულებლობის კუთხით, ფინანსური დარღვევების კუთხით, აუცილებლად გაცნობებთ. დანაშაულს თუ ვინმე სჩადიოდა, აუცილებლად გამოიკვეთება მათი პასუხისმგებლობის საკითხი და მათი პასუხისმგებლობაც დადგება. შეუძლებელია და პრინციპულად მიუღებელია, სახელმწიფო თავისი მოქალაქეებისა და ბიუჯეტის ხარჯზე, კონკრეტულ კლინიკებს ამდიდრებდეს და ამ გზით კლინიკები შოულობდნენ ფულს“, – აღნიშნა აზარაშვილმა.

მისი თქმით, სამწუხაროდ ნამდვილად არის შემთხვევები, როდესაც პანდემიის პერიოდში კლინიკები სახელმწიფოს მიერ ჩარიცხულ თანხებს დასაქმებულებს არ უხდიდნენ.

„შრომის ინსპექცია ყოველდღიურ რეჟიმში ცდილობს იმ კლინიკებთან შეთანხმებას, მოლაპარაკებას, რომელთაც, სამწუხაროდ, დღეისთვისაც აქვს ექთნების, ექიმების დავალიანება. ეს არ არის ის დავალიანება, რაც მათ თავიანთი ხარჯით უნდა გაესტუმრებინათ, რადგანაც სახელმწიფო კონკრეტული მიზნობრიობით რიცხავდა ამ კლინიკებში თანხას და სამწუხაროდ, პერსონალამდე ეს თანხა არ მიდიოდა. მიხარია, რომ ამ კლინიკების სია ყოველდღიურად მცირდება, მაგრამ პრობლემები ისევ რჩება. ვფიქრობ, რომ ის რამდენიმე ათეული კლინიკა, სადაც ისევ პრობლემაა, ძალიან მალე დაასრულებს მუშაობას და გამომუშავებულ კუთვნილ ანაზღაურებას, რასაც პანდემიის პერიოდში სახელმწიფო ექთნებსა და ექიმებს უხდიდა, ადრესატამდე მიიყვანს“, – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

რაც შეეხება კოვიდკლინიკებში ინფექციების კონტროლისა და პროტოკოლების შესრულების შემოწმებას, მინისტრის თქმით, შემოწმების შედეგად, უკვე იკვეთება პრობლემები, რომელთა გამოსასწორებლად კლინიკებს ვადა ეძლევათ.

„ამ ტიპის შემოწმებები აქტიურად გვაქვს დაწყებული. ამ მომენტისთვის 125 კოვიდკლინიკიდან შემოწმებულია 20-ზე მეტი და უკვე იკვეთება ის პრობლემები, რასაც პრინციპში მოველოდით. სისტემური პრობლემები, რომლებიც საშუალოვადიან პერიოდში აუცილებლად სწრაფად გამოსასწორებელია, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა დაცულ, უსაფრთხო გარემოში იმკურნალონ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირობები, სტანდარტები, რაც არის გათვალისწინებული რეანიმაციაში ინფექციის კონტროლის კუთხით, ასევე ინტენსიურსა და თერაპიულში, ეს პირობები და სტანდარტები აუცილებლად შესრულდეს. ამის გამოა ზუსტად ის პრობლემები, რაც იკვეთება და ის მითითებები, რასაც ვაძლევთ კლინიკებს. გამოსწორების ვადებს ვაძლევთ და ამას ექნება მუდმივი, სისტემატური ხასიათი. გარკვეული შენიშვნებისა და პრობლემების ვერაღმოფხვრის შემთხვევაში, საბოლოოდ შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში მივიდეთ კლინიკების ფუნქციონირების დროებით შეჩერებამდე. სამწუხაროდ, ამას სისტემური ხასიათი აქვს“...

თუკი დიდხანს სიცოცხლე გსურთ!

კვების რაციონი, რომლის დაცვაც სიცოცხლეს მაქსიმალურად გაგიხანგრძლივებთ

იმის მიხედვით, თუ რა გენებს ატარებთ, თქვენი ორგანიზმი შეიძლება საკმაოდ დღეგრძელი იყოს და კიდევ მრავალი ათწლეული იცოცხლოთ.

რა თქმა უნდა, თქვენი ბედი ქვაზე ამოტვიფრული არ არის. საკვები, რომელსაც მიირთმევთ და როგორ მიირთმევთ, განსაზღვრავს, კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებთ.

სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის ჰერონტოლოგი ვალტერ ლონგო დარწმუნებულია, რომ არსებობს შიმშილისა და კვების ოპტიმალური ფორმულა, რომელმაც ჩვენი ინდივიდუალური სიცოცხლის ხანგრძლივობა შეიძლება მაქსიმუმამდე გაზარდოს. იმის გასარკვევად, რა შეიძლება იყოს ეს ფორმულა, ლონგომ და მისმა კოლეგამ ვისკონსინის უნივერსიტეტიდან, როზალინ ანდერსონმა, შეისწავლეს ლიტერატურა სხვადასხვა ცოცხალ არსებათა სიცოცხლის ხანგრძლივობისა და კვების შესახებ, შემდეგ კი ეს ყველაფერი ადამიანს დაუკავშირეს.

რა თქმა უნდა, კვების ერთი დანიშნული მეთოდი ყველასთვის ერთიანი მიდგომა არასოდეს გახდება. ისევე, როგორც კვების ჩვევების ცვალებადობას სხვა სახეობებში ჯანმრთელობაზე დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, უბრალო მიკრობებით დაწყებული, ჭიაყელებითა და ჩვენი მსგავსი ძუძუმწოვრებით დამთავრებული, თავად ჩვენში არსებული გენეტიკური სხვაობები და განვითარების ეტაპები განსაზღვრავს სხვადასხვა საკვების რისკებსა და სარგებელს. მაგალითად, 65 წელს ზემოთ ადამიანებს კვების რაციონში შეიძლება ცოტა უფრო მეტი ცილა სჭირდებოდეთ, რათა ორგანიზმს წონის კლების პირობებში ჰქონდეს საჭირო ნივთიერებები.

კონკრეტულ ინდივიდებზე ამ საჭიროებათა მორგების საუკეთესო გზაა ჯანდაცვის პროვაიდერთან მუშაობა. თუმცა, ჯანდაცვის ინდუსტრიას სამეცნიერო კონსენსუსით ინფორმირება სჭირდება კვების კარგი რაციონის შესახებ, რაც უკვე საკმაოდ საკამათო და დებატების საგანია. ლონგოს და ანდერსონის მიერ უკვე არსებული ლიტერატურის კვლევის მიზანია დღეგრძელობის კვების რაციონის შესახებ ამჟამად მიმდინარე კვლევებისთვის მყარი საფუძვლის შექმნა, ისეთის, რომელიც დისკუსიას ადგილიდან დაძრავს და ჯანდაცვის სპეციალისტებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ისეთ კვების რაციონს შესთავაზებს, რომელიც ნამდვილად მოგვანიჭებს უფრო ხანგრძლივ სიცოცხლეს. ლონგოს განცხადებით, ზუსტად იმ „ბილეთის“ მოთხოვნებს, რომელიც თქვენ გესაჭიროებათ, კარგად აკმაყოფილებს არარაფინირებული ნახშირწყლების, მცენარეული ცილების და მცენარეული ცხიმების საკმარისი ოდენობა.

„ბევრი პარკოსანი, მთლიანი მარცვლეული და ბოსტნეული; ცოტა თევზი, უარი თქვით წითელ და დამუშავებულ ხორცზე, მიიღეთ ძალიან მცირე ოდენობის თეთრი ხორცი; ცოტა შაქარი და რაფინირებული მარცვლეული; თხილეულისა და ზეითუნის ზეთის საკმარისი დონე და ცოტა შავი შოკოლადი“, – ამბობს ლონგო.

გარდა საკვებისა, მაქსიმალური ეფექტიანობისთვის საჭიროა იმის დაგეგმვაც, როდის ჭამოთ. სისხლის წნევის კონტროლში და ინსულინის წინააღმდეგობის დაბალი რისკის შენარჩუნებაში ასევე დაგეხმარებათ კვების 12-საათიანი ფანჯარა და ხუთდღიანი შიმშილობა ყოველ 3-4 თვეში ერთხელ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ლონგოს მესაკუთრის ინტერესები აქვს კომპანიაში, რომელიც შიმშილობის მიმბაძველ საკვებ პროდუქტებს აწარმოებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასეთ კვლევას გამადიდებელი შუშით უნდა მივუდგეთ.

მიუხედავად ამისა, არაფერია საკამათო იმაში, რომ გვეძლევა რეკომენდაცია, შევზღუდოთ წითელი ხორცი, გავზარდოთ მცენარეული ცილები და დროდადრო უარი ვთქვათ ჭამაზე, თუკი დიდხანს სიცოცხლე გვსურს. კვლევა ჟურნალ Sუდდ-ში გამოქვეყნდა.

მომზადებულია gero.usc.edu-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

ფიროსმანი 1918 წლის 4 მაისს გარდაიცვალა



ნიკო ფიროსმანაშვილის გარდაცვალების უშუალო მოწმე არ არსებობს. გიორგი ლეონიძის წყალობით, ჩვენამდე მოაღწია მხატვრის მეზობლის, არჩილ მაისურაძის მოგონებებმა, რომელმაც მომაკვდავი ნიკალა სახლის სარდაფში იპოვა.

გ. ლეონიძე სვამს კითხვას „რომელ წელს გარდაიცვალა ფიროსმანი? არჩილ მაისურაძემ დაბეჯითებით გადმომცა, რომ ეს ამბავი მოხდა 1918 წელს, ზედ აღდგომა ღამეს. მისი სიტყვებით და მრავალთა დამოწმებით, ფიროსმანი დამარხულია უპატრონო მკვდართა შორის კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.“და ამ მოგონებებში უტყუარი ის უნდა იყოს, რომ მომაკვდავი მხატვარი 1918 წლის აღდგომის წინადღეს გადაიყვანეს საავადმყოფოში. არსებობდა ორი ძირითადი ვერსია: 1. მხატვარი „არამიანცის“ საავადმყოფოში გარდაიცვალა და პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს (ძმები ჩაჩანიძეები, ნელი კობიაშვილი, გიორგი კეკელიძე). 2. „მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა და კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს (ერეკლე ლუკაშვილი). პირველი ვერსია უფრო დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც ჟურნალისტმა ნელი კობიაშვილმა პეტრე-პავლეს ეკლესიის 1919 წლის მეტრიკულ წიგნში მიაკვლია ჩანაწერს: „1919 წელი 14 მარტი „უცნობი ნიკოლოზ“, რის საფუძველზეც ჩაჩანიძის მიერ მითითბული საფლავის გათხრას ითხოვდა. როგორც დავადგინე, „არამიანცის საავადმყოფოში“ გარდაცვლილ უპატრონოებს ორი-სამი კვირის განმავლობაში პროჟექტურაში აჩერებდნენ, შემდეგ პეტრე-პავლეს ეკლესიაში მოიხსენიებდნენ და ნავთლულის სასაფლაოზე ასვენებდნენ. ვინც არ უნდა ყოფილიყო უცნობი ნიკოლოზი, ის ნავთლულში გადაასვენეს, როგორც ეს სპეციალურ გრაფაშია მითითბული. ამ ვერსიაში აშკარაა რიგი შუსაბამოებისა (გარდაცვალების წელი, შეცდომით არის მითითებული 1918 და 1919 წლებში აღდგომის თარიღები და სხვა). მთავარი კი ის არის, რომ მერიამ გათხარა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე მითითებული ადგილი, რაც ცარიელი გამოდგა, ანუ ეს მცდარი ვერსია საბოლოოდ გაბათილდა.

2. ვერსია. ერეკლე ლუკაშვილმა საქართველოს ცენტრალურ არქივში მიაკვლია ასეთ ცნობას: „1918 წლის 7 აპრილს ჰ ძვ. სტილით 25 მარტს. ე. წ.ჰ მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს გრძნობადაკარგული უცნობი ვინაობის მამაკაცი, შესახედად 60 წლისა, ღატაკი ვინმე. მომაკვდავი მიიყვანა ეტლით მილიციონერმა ივანე ჩანადირაძემ, რომელმაც განაცხადა, ეს კაცი გონებამიხდილი მოვიყვანე ანტონოვის ქუჩიდან, არც ვინაობა ვიცი ამისი, არც მისამართიო... სიმსივნე აქვს მთელი სხეულისა, ვკითხულობთ შემდეგ იმ ჩანაწერში, - მაჯისცემა სუსტი. რამდენიმე საათის შემდეგ უგონოდ მყოფი უცნობი გარდაიცვალა“.

1918 წელს აღდგომა 5 მაისს იყო. 7 აპრილი აღდგომის წინადღე ვერ იქნებოდა. ნიკალა მილიციელს არ მიუყვანია საავადმყოფოში. თანაც ის ანტონოვის ქუჩიდან კი არ მოხვდა საავადმყოფოში, არამედ მალაკნების ქუჩიდან, სადაც სამი დღე უპატრონოდ ეგდო სარდაფში. ე. ლუკაშვილის მტკიცებით, მიხეილის საავადმყოფოს 1918 წლის სარეგისტრაციო წიგნში ყველა ჩანაწერი სახელობითი იყო, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ამავე დროს, ე. ლუკაშვილი თავისი ფანტაზიით ისეთ დეტალებს უმატებს, რომლებიც მის ვერსიას გაამყარებენ. მან ვერ იპოვა ზემოხსენებული მიცვალებულის დაკრძალვის ჩანაწერი, რადგან არ იცოდა უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის სქემა, რის გამოც კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში ამაოდ ეძებდა ჩანაწერს. მის მიერ არასწორად წარმოებული ძიების შედეგებს დაეყრდნენ სხვა მკვლევარებიც. შეცდომაში იყო შეყვანილი ე. კუზნეცოვიც, რომელიც ამტკიცებდა, რომ 1918 წლის 7 აპრილის ჩანაწერი არის „1918 წლის გაზაფხულზე გაკეთებული ერთადერთი უსახელო ჩანაწერი“.

ჩემი ვერსიით, ფიროსმანი 1918 წლის 4 მაისს, ანუ აღდგომის წინადღეს მიიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში. სარეგისტრაციო ჟურნალში გატარებულია, როგორც „უცნობი წოდების მამაკაცი“, რომელიც იქამდე გარდაიცვალა, სანამ ექიმი გასინჯავდა სამედიცინო დასკვნა ემთხვევა იმ ჩივილებს, რომლებიც ფიროსმანს ჰქონდა. ეკლესიების მეტრიკული წიგნების შესწავლამ დამარწმუნა, რომ 1918 წლის 4 და 5 მაისს სხვა უპატრონო მიცვალებული თბილისში არ ყოფილა (ჩემ გარდა, ფიროსმანის გარდაცვალების თარიღად 1918 წლის 4 მაისს ადასტურებდნენ იოსებ იმედაშვილი და მხატვარი ვლადიმერ ქიქოძე). 9 მაისს, 4 მაისს გარდაცვლილ უცნობს, ანუ ფიროსმანს, მიხეილის საავადმყოფოს წმ. მიხეილის ეკლესიაში აუგეს წესი და საავადმყოფოსთვის ჯერ კიდევ 1870 წელს გამოყოფილ სასაფლაოზე დაკრძალეს, სადაც იმ დროს ძირითადად უპატრონოებს მარხავდნენ. სადღეისოდ ეს სასაფლაო კუკიის სასაფლაოსთან არის შერწყმული. იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ იმის ცოდნით, რომ ფიროსმანი ამ სასაფლაოზე განისვენებს. ზუსტი საფლავის პოვნა შეუძლებელია, რადგან არც თავის დროზე გაკეთებულა წარწერა. აქ ათასობით უსახელო საფლავი იყო, რომლებიც შემდგომში გაიყიდა.

ფიროსმანის დაკრძალვის ადგილის დასაზუსტებლად, 2014 წელს, კულტურის სამინისტროსთან, ისტორიკოს, პროფესორ ზაზა აბაშიძის თავმჯდომარეობით, შეიქმნა კომისია, რომლის წევრი მეც ვიყავი. როგორც ჩანს, საბოლოოდ ჩემმა ვერსიამ გაიმარჯვა, რადგან კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრმა 2017 წელს გამოსცა ჩემი ნაშრომი „ფიროსმანზე და არა მხოლოდ“ სერიის რედაქტორია, ცენტრის დირექტორი ზაზა აბაშიძე, რომელმაც განაცხადა, რომ ჩემი ნაშრომი „მოთხოვნადი“ გამოდგა და 2019 წელს მეორედ გამოსცა. აქვე, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი წიგნის გამოცემა მხოლოდ მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც ფიროსმანის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალვის ვერსია, ზემოხსენებული გათხრების შემდეგ, საბოლოოდ გაქარწყლდა.

პაოლო იაშვილი წერდა: „ფიროსმანის საფლავის ნახვა ევალება ყოველ ჩვენთაგანს. რომელს ერგება ბედნიერება ფიროსმანის ახლად აღმოჩენისა?“ სადღეისოდ, სასაფლაო დადგენილია, მაგრამ საკუთრივ ფიროსმანის საფლავის დადგენა კი შეუძლებელია, რადგან არც თავის დროზე გაკეთებულა წარწერა. დღევანდელი კუკიის სასაფლაოზე რამდენიმე სხვადსხვა სასაფლაო იყო. მათ შორის საავადმყოფოს სასაფლაო.

ფიროსმანის გარდაცვალების თარიღი — 4 მაისია. მინდოდა იქამდე ოფიციალურად დაკანონებულიყო, რომ მხატვარი ფაქტობრივად კუკიის სასაფლაოზე განისვენებს და საბოლოოდ დასმოდა წერტილი ფანტაზიების ტირაჟირებას. ნიკო ფიროსმანაშვილი მთელი ცხოვრება უყურადღებობის მსხვერპლი იყო. ახლა მაინც ნუ გავაგრძელებთ მის მიმართ ასეთივე მიდგომას და მავანის ამბიციებს ნუ შევწირავთ სიმართლის დაკანონების შესაძლებლობას!

მანანა ხომერიკი,
ისტორიის დოქტორი

უიშვიათესი ტყე-პარკი მთაწმინდის ფერდობზე

„დედაძალაძის გული და ფილტვები — ასე მოიხსენიებენ ამ ადგილს, თუმცა მძიმე 90-იანი წლების შემდგომ ტერიტორია და ფერდზე არსებული ხე-მცენარეები, ფიჭვნარი და მწვანე საფარი მოუვლელობისგან დაზიანებული მოუვლელი და ნაწილობრივ განადგურებულიც კი იყო. ურბანული განაშენიანების გამო ფერდის გაკვეული ნაწილები ჩამოიშალა კიდეც. 3 წლის წინ ბიძინა ივანიშვილმა ფერდის გამწვანების, კეთილმოწყობისა და დედაქალაქის ფილტვების გაჯანსაღებისთვის პირველ ეტაპზე 16 მილიონი ლარი გამოყო. პროექტი მიმდინარეა და საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტი კიდევ გაიზრდება, — ნათქვამია POSTV-ის სიუჟეტში.

„ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახი რომ ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნავს ამას არა ერთი მის მიერ განხორციელებული პროექტი ამტკიცებს. მხოლოდ დენდროლოგიური პარკი რად ღირს, ბოტანიკური ბაღები თბილისსა და ბათუმში, მუსიკოსთა პარკი, წვერმაღალას პარკი. ამაში ივანიშვილების ოჯახს ასეულობით მილიონი ლარი აქვს დახარჯული. ყველაზე მთავარი კი ამ პროექტებში მოსახლეობის ჩართულობაა და ის, თუ როგორ გავუფრთხილდებით ამ ყველაფერს, — ნათქვამია სიუჟეტში.

პროექტის ხელმძღვანელი, ფონდის **„განვითარება და გარემო“** თავმჯდომარე თემურ ტყემალაძე მადლობას უხდის ბიძინა ივანიშვილის ოჯახს და აღნიშნავს, რომ ეს პროექტი ქალაქის ეკოლოგიის გადარჩენაა.

„ასობით ადამიანია ჩართული ამ პროექტში, ძალიან სერიოზული გუნდია, 90% ქართველი სპეციალისტების ნამუშევარია ყველაფერი, ეს პროექტი ერთერთი წარმატებული პროექტია, უაღრესად მადლიერი ვარ და ბედნიერი, რომ ასეთ პროექტში ვმონაწილეობ. ეს ტერიტორია შეიძლება დაკარგულიყო, ისე იყო მოწოლილი ურბანული განვითარება და მშენებლობები. ეს არის გადარჩენა ქალაქის ეკოლოგიის. მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილის ოჯახს, იმიტომ, რომ ეს არის ქვეყნის სიყვარული, ეს არის გამოხატულება შენი ქალაქის და ხალხის მიმართ“, — ამბობს **თემურ ტყემალაძე.**

მისივე თქმით, გეოლოგიურად ურთულესი ადგილმდებაორეობის გამო კვლევა დაახლოებით 14 მიმართულებით ჩატარდა.

თავდაპირველად დაიწყო პროექტირება და კვლევითი სამუშაოები, აღმოჩნდა რომ მოსახლეობისგან საჯარო რეესტრში 1000-მდე განაცხადი იყო შეტანილი ამ ადგილას ნაკვეთების გამოსაყოფად და მშენებლობების დასაწყებად. თუმცა, ქაოტური მშენებლობის ნაცვლად დედაქალაქს გამწვანებული ტერიტორია და სუფთა ჰაერი ექნება.

„პირველ რიგში დაზიანებული ხე-მცენარეების სანიტარული ჭრა დაიწყო, განსაკუთრებით განადგურებული იყო ფიჭვნარი. დაზიანებული ხე-მცენარეების ჭრამ, ხელი შეუწყო ტერიტორიის გაჯანსაღებას, გაიზარდა ახალი მწვანე საფარი, მუშაობის დაწყებიდან დღემდე 100 ათასზე მეტი ხე-მცენარეა დარგული, რომელთა 99%-მა უკვე გაიხარა. შემოდგომის დასაწყისში კი კიდევ 200 ათასი ახალი ხე-მცენარე დაირგვება.

დარგულ მცენარეებს ახლა მოვლა სჭირდებათ, მორწყვა ყველაზე მნიშვნელოვანია, გაკეთდა ჭაბურღილი, ეწყობა წვეთოვანი სისტემა, რითიც მცენარეების მოვლა და მათი გახარება კიდევ უფრო გაადვილდება და დაჩქარდება. ურთულესი გეოლოგიური მდებარეობის მიუხედავად, ჯანსაღი ცხოვრების მოყვარულებს 4 სეზონზე გათვლილი სალაშქრო ადგილი ექნებათ.

50 კმ. სიგრძის საფეხმავლო და ველობილიკების მოწყობა თითქმის დასრულებულია. გზადაგზა ტყეში სეირნობისას, შეგხვდებათ მოსასვენებელი ხის სკამებიც, ულამაზესი ხედებით დედაქალაქზე.

ყველა ინფრასტრუქტურა რაც ტყეშია მოწყობილი და სეირნობისას გზად შეგხვდებათ მაქსიმალურადაა შერწყმული ბუნებასთან. მოსასვენებელი სკამები მოჭრილი ხეებისგან კეთდება, ხოლო საფეხმავლო თუ ველობილიკებისთვის არც ბეტონს და არც ასფალტს არ გამოიყენებენ. მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა, აქაურობა კი უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივებსა თუ ტურისტებში.

მიუხედავად ადგილმდებარეობისა, მთაწმინდის ამ ფერდზე საფეხმავლო თუ ველობილიკებით მოხვედრა საკმაოდ მარტივია და დედაქალაქის სხვადასხვა ნაწილებიდან არის შესაძლებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტყეში მობინადრე ფრინველებიც. კვლევებისას აღმოჩნდა, რომ ტერიტორიაზე 120 სახეობის ფრინველი ბუდობს, რომელთა უმეტესობა გადაშენების პირას არის წითელ წიგნში არიან შეყვანილნი. ფრინველთა გამრავალფეროვნებისთვის ტყეში ასობით ხოხობი და კაკაბი უკვე გაუშვეს. ზაფხულში კიდევ ასეულობით ფრინველს გაუშვებენ და ასე გაგრძელდება კიდევ რამდენიმე წელი, ამით ფრინველები დაიმკვიდრებენ თავის თავს ტყეში, შეეჩვევიან იქაურ გარემოს. ფრინველთა გამრავლებას ისიც შეუწყობს ხელს, რომ ტყეში ნადირობა აკრძალული იქნება. ფერდის ტერიტორია 700 ჰა-ს მოიცავს, ამ ტყის რეაბილიტაცია გააუმჯობესებს დედაქალაქის ეკოსისტემას, ამასთანავე დედაქალაქს დარჩება მოვლილი ტყე შუაგულ ქალაქში“, — ამბობს ავტორი.

ეს ნარკვევი ზუსტად ერთი წლისა და ოთხი თვის წინათ დაიწერა, როცა ნოდარ მეძმარიაშვილი, ფრიად დამსახურებული საზოგადო მოღვაწე, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და თავის დიდ ქართულ ოჯახთან ერთად გარდაცვლილი საყვარელი მეუღლის, უკრაინელი გალინა ონიშჩენკოს ერთ-ერთ დაბადების დღეს აღნიშნავდა, მაგრამ ნოდარმა ნარკვევის დაბეჭდვის უფლება არ მომცა, ემანდ ჩემგან ტრაბახი არ გამოვიდესო. ახლა, როცა უკრაინას ცეცხლი უკიდია, და ნოდარ მეძმარიაშვილიც იმ ქვეყნად გადასოფლდა, ნამდვილად უპრიანი იქნება, რომ ჩვენმა მკითხველმა უფრო მეტად და ახლოს გაიცნოს საქართველოს უკრაინელი რძალი და თვითონ ნოდარ მეძმარიაშვილი, რომელიც დონბასში ჯერ სწავლობდა და მერე მუშაობდა.

ეს ნარკვევი კი მინდა, რომ ამ ორი ძვირფასი ადამიანის საფლავზე მიტანილი წითლად ბდღვრიალა ვარდი იყვეს...

> **თუ ცეცხლი ჩამიქრა, მე კი ნუ შემიცოდებთ,**
> **ისინი შეიცოდეთ, ვინც იმ ცეცხლთან თბებოდა...**
>
> **რასულ გამგათოვი**

თუ გულში ეუდაე გაზაფხულია...

ანუ ამბავი წამის მეხუთედში გაჩენილი სიყვარულისა, რომელმაც საუკუნეებში წელიწადი გაუძლო ცხოვრების არცთუ იოლ აღმართ-დაღმართს

უთუოდ აშკარაა, რომ ბედნიერ დღეებს არაბედნიერ თუ ნაკლებად ბედნიერ დღეებთან შედარებით ერთი უეჭველი ნაკლი აქვთ – ბევრად უფრო სწრაფად, ელვისებურად ქრებიან, უფრო სწორად, გავარდნილ ტყვიასავით თუ გატყორცნილ ისარივით ჩაიქროლებენ ხოლმე. ოღონდ, საბედნიეროდ, ადამიანების გარკვეული ნაწილისთვის უკან სიცარიელე არ რჩება, პირიქით, სავსეა გულში სამუდამოდ ჩარჩენილი აურაცხელი ტკბილი მოგონებით, რასაც დარჩენილი წლების უებარ მაცოცხლებელ წამლად ვიყენებთ.

ეს ზოგისთვის, ალბათ, საჭოჭმანო აზრი გამიჩინა ერთმა იშვიათმა სიყვარულის ამბავმა, რომელმა სიყვარულმაც ასევე იშვიათი ოჯახი შექმნა... და თუ ვინმე ოდესმე საქართველოში ჭეშმარიტი სიყვარულით შექმნილი ნაღდი ქართული ოჯახების მატიანეს შექმნის, ამ ოჯახს უთუოდ ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა მიუჩინოს.

ადამიანებმა, ცხადია, ბევრი უსაზღვრო სიყვარულის ამბავი ვიცით. ეს ეთერი და აბესალომიო, ეს რომეო და ჯულიეტაო, ეს ტრისტანი და იზოლდაო, მგონი, არც არაფერი დაშავდება, თუ ამ ლამაზ მწკრივს ჩვენი გმირების – ნოდარისა და გალინას სახელებსაც მივამატებთ. თუმცა, თვითონ ნოდარისგან მკაცრად ვარ გაფრთხილებული, ვიცი, რომ ჩვენზე ნარკვევის დაწერას აპირებ და, ჩემი თხოვნაა, ყოველგვარ ზედმეტს მოერიდეო. ჩემი აზრით, ზედმეტი კი არა, ალბათ, სრულადაც ვერ ვიტყვი სათქმელს. ზღვას ტბად ვერ ვაქცევ.

სიყვარული, ბუნების გვირგვინი, ჭეშმარიტად მეორედ დაბადებაა. ამ მეორე დაბადებასთან კი თურმე ჩვენსავე ბედს მივყავართ. აკი უძველესი გამოცდილებაც ღაღადებს, საცა არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. ჩვენი გმირების შემთხვევაშიც ზუსტად ასე მოხდა...ბარემ აქვე ვიტყვი, რომ გარკვეული აზრით, არც სიტყვა ბატონს ვიყენებ და არც ქალბატონს, რადგან იმ დროის ჩვენი გმირები ამჟამინდელ ჩემს ასაკთან შედარებით ძალზე ახალგაზრდები არიან...

...თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის უკვე კურსდამთავრებული ახალგაზრდა სამთო ფაკულტეტზე გადაიყვანეს, სადაც კიდევ ერთი ზედმეტი წელიწადი უნდა ესწავლა... და გახდა ინჟინერ-შახტმშენებელი. მალე იგი წინასადიპლომო პრაქტიკაზე ქალაქ დონეცკში აღმოჩნდა. ფაკულტეტების ამ შეცვლას ნოდარი მერე უფლისმიერ როქად მოიხსენიებს...

დიახაც, ამ უფლისმიერი როქის წყალობით ერთ საღამოს, დონეცკში გასეირნებისას, ნოდარი, თავის მეგობრებთან ერთად, ხვდება ნაცნობ ქალიშვილს, რომელსაც თავისი მეგობარი გოგონები ახლავან. ერთ-ერთი გალინაა და დანახვისთანავე იფეთქებს ადამიანის მეორედ დამბადებელი, ანუ სიყვარული. ამ ამბის გამო ნოდარი თავის საოცარ წიგნში **(„ოქროს აკვანი“ მოწამეთაში“)** დაწერს: **გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა, პირველი დანახვისთანავე შემიყვარდა! გვიან, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, წავიკითხე სირაკუზის უნივერსიტეტის გამოკვლევა. თურმე იმისთვის, რომ ადამიანი პირველივე დანახვით შეგიყვარდეს, წამის მეხუთედია საჭირო. მაშინ ეს მეცნიერული დასკვნები არ ვიცოდი, თუმცა შეყვარებით კი გალინა ნამდვილად წამის მეხუთედში შემიყვარდაო... ცხადია, ასევე მოხდა გალინას მხრიდანაც, ანუ ბედმა ისინი თავთავიანთი ფეხით მიიყვანა ჭეშმარიტ სიყვარულამდე.**

გალინა დონეცკში ახალი ჩამოსული იყო ციმბირიდან, სადაც ევაკუირებულ ქარხანაში მუშაობდა და როდესაც მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა, დონეცკი ფაშისტთაგან მიწასთან გასწორებული დახვდა. დანგრეულ დონეცკში, სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი, რომელთა შორისაც იყო როგორც უკვე ვთქვით, ნოდარიც, ჭაბუკი სამთო ინჟინერი.

დედამიწის ზურგზე როგორც ერთი ადამიანი, ქალი თუ კაცი, არც არასოდეს არ ჰგვანებია, არცა ჰგავს და არც დაემგვანება მეორეს, ასევეა თურმე სიყვარულიც. როგორც ერთი უიშვიათესი პოეტის უიშვიათესი რითმა – **სილაში ვარდი და სილაჟვარდე** – მარადიულად უიშვიათესად დარჩება, რომლის მსგავსი არც ყოფილა და ალბათ, არც იქნება, სწორედ ასე წარმომიდგენია ამ ორი ადამიანის სიყვარული, თვით ბედის მიერ გარითმული, სიყვარული, რომელმაც, ანუ ამ შემთხვევაში გალინამ, სამჯერ გადაარჩინა ნოდარი სიკვდილს, რაც ამავე წიგნშია ენაწყლიანად მოთხრობილი.

და დაიწყო ამ უებრო სიყვარულზე აშენებული დიდი ცხოვრება, რომელიც 2013 წლამდე გაგრძელდა, მაგრამ არც მერე შეწყვეტილა, პირიქით, გალინას ამაყი სული ისევ ამ დიდი ოჯახის დიდი დიასახლისია და მჯერა, ასე იქნება მუდამ, დრო ვერ მოერევა მადლიერი ადამიანების გულსა და გონებაში ჩადუღაბებულ ხსოვნას.

ისე მოხდა, რომ ეს გამორჩეული ოჯახი ხან მოსკოვში ცხოვრობდა, ხან თბილისში. შვილები, მაგალითად, დონეცკში დაიბადნენ. თუ როგორი შვილია თვითონ ნოდარი და როგორი რძალია გალინა, ერთი ასეთი თითქოს უმნიშვნელო დეტალიც მოწმობს. პირველი შვილი მთელი ერთი თვე სახელდაურქმეველი იყო. დეპეშამ აცნობა სოფელ მოწამეთაში ნოდარის მშობლებს, პირველი შვილიშვილი ბიჭი გეყოლათ და სახელი თქვენ დაარქვითო. პასუხი მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მოვიდა, პირმშოს გიორგი დაარქვეს, მეორე ვაჟის სახელი თავად გალინამ შეარჩია, ალექსანდრე დიუმას პატივსაცემად ალექსანდრედ მონათლეს. თუმცაღა, ბავშვები რუსულ-უკრაინულ გარემოში იზრდებოდნენ, მაგრამ გალინას ქართველ დედად გადაქცევა არ გასჭირვებია და ორივე ვაჟი, რა თქმა უნდა, ნოდართან ერთად, მოწამეთური სულისკვეთებითა და გულისკვეთებით დაზარდა, თვითონ ნოდარზე უნდა ითქვას, რომ, თუმცა თავის ხანგრძლივი ცხოვრების თითქმის ნახევარი რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში გაატარა, როგორც საქართველოს წარმომადგენელმა, პირველმა ელჩმა, მაგრამ ზოგიერთივით წამიერადაც არ გამხდარა რუსეთუმე. ისევ და ისევ მოწამეთელ იმერლად დარჩა, ასევე ზრდის თავის ოთხ შვილიშვილს და შვილთაშვილებს – გიორგის და ანას.

დიდი ოჯახის დიდ დიასახლისობასთან ერთად, გალინა, პროფესიით მშენებელი, მუდამ ახერხებდა როგორც ლიტერატურულ, ისე საზოგადო მოღვაწეობას, იყო საუკეთესო პროზაიკოსი, ჟურნალისტი, არანაკლებ ნიჭიერი პოეტი. გამოცემული აქვს როგორც პროზაული, ისე რამდენიმე პოეტური კრებული – **„ადამიანებს ადამიანებისთვის“, „სალომე ანდრონიკაშვილი თავისი თაობის ფონზე“,** ფოტოალბომი **„შეხვედრები ანასტასია ცვეტაევასთან“, „მე ცოცხალი ვარ იმის წყალობით“, „მადლობელი ვარ თქვენი შთაგონებისთვის“, „სხვადასხვა დრო“**. სსრ კავშირის ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი გალინა ხშირი ავტორი იყო როგორც ქართული რუსულენოვანი, ისე რუსეთის პრესისა. ჯერ კიდევ ადრე გამოსცემდა ტექნიკურ ლიტერატურას, გალინასთვის უცხო არ იყო არც ტელევიზიით გადაცემათა ორგანიზება...

ცნობილი მარინა ცვეტაევას და ანასტასია ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა გალინას წიგნს – **„ადამიანებს ადამიანებზე“**. ეს წიგნიო, წერს ანასტასია, ჩემთვის ძვირფასია არა მხოლოდ იმიტომ, რომ წიგნის გმირები ჩემი ახლობლები და საყვარელი ადამიანები არიან, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის შემოქმედებით ადამიანებს ეძღვნება, არამედ მომწონს თვით ავტორის ის მიზანი, რომ მოგვიყვეს ადამიანურ სიკეთეზე, საკუთარი გმირების ადამიანურ საწყისებზე და ამ სიკეთის გზაზე განვლილ იმათ ცხოვრებაზეო.

და კიდევ: წიგნის კითხვისას აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ მისი გმირები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ რთული ისტორიული კატაკლიზმების დროსო... წიგნს სხვაგვარად ვკითხულობო, რაღაც ლირიკულად, თბილად მეკუმშება გული, ვაწყდები ნაცნობ სახელებს, ვკითხულობ არა შემფასებლის, არამედ გულშემატკივრის თვალით, მოგონებათა ბურუსში ცოცხლდებიან წარსულის აჩრდილებიო... ამას 95 წლის ანასტასია ცვეტაევა წერს 1988 წელს პერედელკინოში, ხოლო 1996 წელს ერთ-ერთი რუსი ავტორი, კერძოდ, ვიქტორ ლეონიდოვი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა გალინას ლექსების წიგნს, წერს: გალინა ხუმრობით აღნიშნავდა, რომ ქმრის თანამდებობით „ბორტად“ სარგებლობდა... სხვა თანამდებობის პირთა ცოლებისგან განსხვავებით, რომლებიც მეუღლეთა სამსახურებრივ მანქანებს საყიდლებზე დააქროლებდნენ, გალინა ქმრის მანქანას ხანშიშესულ ქალბატონებს უთმობდა. ის ქალბატონები ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ისტორიის სიამაყეს წარმოადგენდნენ, მაგრამ სხვათა დაუხმარებლად ერთმანეთთან შეხვედრას ვერ ახერხებდნენო. გალინას ხშირი სტუმრები იყვნენო ანასტასია ცვეტაევა, ნინა ბალმონტი, რუსთაველის მთარგმნელის ქალიშვილი, ბელა ახმადულინა, მარინა შირვინდტი, რომან როლანის მეუღლე მაია კუდაშევა, რომელიც გალინამ რამდენჯერმე პარიზშიც მოინახულა. მსახიობები, მუსიკოსები, პოეტები, რომლებიც კულტურის გადასარჩენად იბრძოდნენ, ყოველთვის იყვნენ და რჩებიან გალინას კეთილ მეგობრებად. გალინას ლექსებში კი, თვითონ გალინას ცხოვრებასთან ერთად, იმ ადამიანების ცხოვრებაცაა, რომელთაც თანამედროვეობის ლეგენდად ქცევა უკვე მოასწრესო...

1997 წლის 9 ივლისს გაზეთ **„სვობოდნაია გრუზიაში“** დაიბეჭდა ეთერ გუგუშვილის ვრცელი რეცენზია **(„მადლობელი ვარ თქვენი შთაგონებისთვის“)** გალინას ამავე სახელწოდების პოეტურ კრებულზე. „გალინას... ლექსები – წერს ეთერ გუგუშვილი – არ არის აბსტრაქტული, სუყოველ ლექსში ამა თუ იმ მოვლენის ზუსტი შეფასებაა... ადამიანების მიმართ მადლიერება, ყურადღება, დახმარებისა და სიკეთის ქმნის სურვილი დედააზრია პოეტისა, რომელსაც სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია თავისი არსებობა. სუყველა ეს თვისება ასახულია როგორც ამ ლექსებში, ისე გალინას ყველა სხვა ნაწარმოებშიც...“

აქვე მკითხველს უნდა გავაცნო რუსეთის ხალხური რეწვის კავშირის პრეზიდენტის ველენა ოსტროვსკაიას აზრიც. ველენას გალინა 1976 წელს გაუცვნია ქობულეთში. დასასვენებელი სახლი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს ერთობლივი ძალისხმევით აშენებულა. ქართული მხრიდან მშენებლობაზე პასუხისმგებელი საქართველოს მშენებლობის მინისტრი გალინას მეუღლეა, საბჭოთა კავშირის მხრიდან ველენას მამამთილი. როგორც ოჯახის წევრები, ახლად დამთავრებულ დასასვენებელ სახლში ოსტროვსკებიც მოხვდნენ და, ბუნებრივია, ქართველი მინისტრის ცოლ-შვილიც, რათა შენობის ყველა სიკეთე და ყველა ნაკლი შეემოწმებინათ. მადლობა ღმერთს, დამსვენებელნი ყველაფრით კმაყოფილნი დარჩენილან. მოსკოვიდან საერთოდ სულ ათამდე დამსვენებელი ყოფილა, ამდენივე საქართველოდანაც. ყველას სწრაფად გაუცვნია ერთმანეთი და დამეგობრებულან. მიზიდულობის ცენტრი გალინა იყოო, წერს ველენა, როგორც ნიჭიერმა მთხრობელმა, თავიდანვე დაგვაგულისყურა აჭარით, ქობულეთით, ქართული ტრადიციებით და იმ ადამიანებით, ვინც ამ აყვავებულ მიწა-წყალზე ბინადრობს. ექსკურსიამძღოლი აღარ დაგვჭირვებია, გიდობას გალინა გვიწევდაო. მერე ოსტროვსკების ოჯახი თბილისში სტუმრად ეწვევა გალინასა და ნოდარის ოჯახს... გალინამ თავისი მომზადებული ქართული კერძები დაგვახვედრაო, – წერს ველენა, მაშინ პირველად გავსინჯე ნამდვილად ქართულად შეკმაზული ლობიო, რაც მოსკოვურისგან აშკარად განსხვავდებოდაო.

ერთხელაც, გალინამ დაჟინებით მოგვთხოვა მოხერხებული სპორტული ფეხსაცმლის ჩაცმაო, განაგრძობს ველენა. ის სავსებით მართალი გამოდგა, რადგან ამ დაუღალავმა ადამიანმა ხან მთაწმინდაზე აგვიყვანა, ხან ავლაბრის საიდუმლო სტამბაში ჩაგვიყვანა, ხან ცის ქვეშ გახსნილი ქართული ეთნოგრაფიული მუზეუმი დაგვათვალიერებინაო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. უამრავი სურათი გადავიღეთ. ახლა, როცა ამ ფოტოსურათებს ვათვალიერებ, აღტაცებისა და გაოცების იმავე გრძნობას განვიცდი, როგორც მაშინ, მრავა-

ლი წლის წინ... ამ დღეს ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო, შთაბეჭდილებები თბილისზე, ქართველი ერის კულტურაზე, ადამიანებზე, მოვლენები ყოველთვის გაღელვებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა კარგი მთხრობელი გიყვება, და შენც ტირი ნინო ჭავჭავაძის საფლავზე, ბავშვურ აღფრთოვანებას გრძნობ ლაღიძის წყლების დაგემოვნებისას. გალინას, არაქართველ ქალს, ისე უყვარდა ყველაფერი ის, რაზეც მოგვითხრობდა, რომ ამ სიყვარულით, ჩვენც, თავის მსმენელთაც, აღგვანთებდა. ალბათ, აქ, მთაწმინდაზე, ან გორგასლის ძეგლთან, საქართველო მეც შემიყვარდაო, და ბედს ემადლიერება ზემოთ მოყვანილი სტრიქონების ავტორი, რომ გალინა და ნოდარი ძალიან ბევრი მეგობრის ცხოვრებაში რჩებიან როგორც მაღალი კულტურისა და წესიერების, სიკეთის მატარებელი ადამიანები.

მსგავსი წერილები უამრავია. ერთი ნარკვევის კი არა, ამ დიდებულ მანდილოსანზე, ალბათ, მთელი წიგნის დაწერა იქნება უპრიანი.

უთუოდ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ფრიად საგულისყურო რამ... ლიტერატურული თუ მხატვრულ-თეატრალური სალონები რატომღაც დიდწილად თან გაიყოლა XIX საუკუნემ. ბევრმა, ცხადია, არ იცის, რომ გალინამ ჯერ თბილისში, თავის ოჯახში ააღორძინა სწორედაც ლიტერატურული სალონის ტრადიცია და მერე უკვე მოსკოვში, სადაც ნოდარი რამდენიმე ათეული წელიწადი წარმოადგენდა საქართველოს.

თბილისურ სახლში გალინა ხშირად მასპინძლობდა გამოჩენილ ქართველთ. ვიღას არ ნახავდით აქ – დოდო ალექსიძეს, მედეა ჯაფარიძეს, ტიციან ტაბიძის ქალიშვილს – ნიტა ტაბიძეს, დავით კაკაბაძის ქვრივს – მხატვარ ეთერ ანდრონიკაშვილს, თენგიზ აბულაძეს, ნონა გაფრინდაშვილს.

რატურული სალონიც“. იგი სიცოცხლის ბოლომდე ამ მუზეუმის ერთგული იყო, ყოველ ახალ წელს იქ ხვდებოდა, საზეიმო სუფრისთვის კი ძველი ქართული რეცეპტით საცივს ამზადებდა და ლობიოს კმაზავდა... ბევრს ახსოვდა და მუდამ ემახსოვრება გალინას გამორჩეული ქალობა, მომნუსხველი ნიჭიერება, ადამიანებს შორის სიყვარულისა და ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრების მომწოდებელი შემოქმედება... გალინას ხასიათის ყველა ეს ძვირფასი თვისება აღბეჭდა ჩვენმა დიდად სახელოვანმა ქართველმა მხატვარმა ზურაბ წერეთელმა, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა, მოსკოვში ქართველთა გამაერთიანებელი ოჯახის (გალინას და ნოდარის) დიდმა მეგობარმა.

ბარემ აქვე ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა თვითონ ნოდარზე, როგორც რუსეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს ვიცე-პრეზიდენტზე. გალინა ამ დიდ ქართულ საქმეშიც გვერდით ედგა ნოდარს, როგორც დესპანი, ქართული საქმისთვის გადაგებული. მოსკოვში ჩასული ქართველისთვის, თუ არა ეს ორი ადამიანი, ბევრს გაუჭირდებოდა როგორც თავისი საყოფაცხოვრებო, ისე საზოგადოებრივი საქმიანობის მოგვარება.

თვითონ მოსკოველ ქართველებშიც ფრიად დიდი იმედიანი სიყვარული ჰქონდა ამ ორ ადამიანს. უამათოდ ხშირად სახელმწიფოებრივი საკითხიც კი არ წყდებოდა. ნოდარის წიგნში არის ერთი თავი – **„ინკოგნიტო მგზავრი“**, რომელიც გორელი ალექსანდრე ნადირაძეა, გასაიდუმლოებული აკადემიკოსი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, როგორც ნოდარი წერს **„ტვინის ტრესტი“**, სწორედ ნოდარის ძალისხმევით გამოფრინდა იგი სამშობლოში და ინკოგნიტოდვე დაბრუნდა უკან...

ჯარისკაცი ალექსანდრე მეძმარიაშვილი ოჯახთან ერთად. გიორგი, ნოდარი, ალექსანდრე, გალინა მეძმარიაშვილები.

იმის მერე, რაც გალინა და ნოდარი მოსკოვში გადავიდნენ, გალინა მოსკოვის შემოქმედებითი ინტელიგენციის წევრი გახდა. ისე, როგორც თბილისში, იგი კინემატოგრაფისტთა, თეატრალთა და ლიტერატორთა წრეში ტრიალებდა. თავისი პუბლიკაციების უმეტესი ნაწილი XX საუკუნის იმ თვალსაჩინო ხელოვანთ ეძღვნება, რომელთაც პირადად იცნობდა: ოლგა აროსევა (რომელიც ბავშვობაში თურმე სტალინს ეჯდა მუხლებზე ერთ-ერთი შეხვედრის დროს); ანატოლი პაპანოვი (რომელსაც სტალინმა, სტუმრად მიპატიჟებულმა, დიდნაშენი აგარაკი თურმე საბავშვო ბაღისთვის გადააცემინა); ვალენტინა პლუჩეკი, ალექსანდრე შირვინდტი, რომენ როლანის რუსი მეუღლე მარინა როლანი, თამარა მაკაროვა, სერგეი გერასიმოვი, მწერალი ანდრეი ბიტოვი (რომელსაც მშვენიერი წიგნი აქვს დაწერილი საქართველოზე, ჭაბუა ამირეჯიბთან საუბარი); ბელა ახმადულინა, ევგენი ევტუშენკო, გორკის შვილიშვილი მართა პეშკოვა (ლავრენტის შვილის სერგო ბერიას მეუღლე); მომღერალი ივან კოზლოვსკი (რომელმაც ერთხელ თავისი კონცერტისთვის თურმე, დიდი ჰონორარი მოითხოვა და სტალინთან დაასმინეს, სტალინს დამსმენი მსახიობისთვის უთქვამს, – თუკი შენ შეგიძლია კოზლოვსკის შეცვლა, შენც მოითხოვე დიდი ჰონორარიო); შალიაპინის უმცროსი ვაჟი ფიოდორი, ცნობილი მთარგმნელი რიტა რაიტი, მწერალი სავა მოროზოვი, ცნობილი რუსი ქველმოქმედის შვილიშვილი, ჩვენი თანამემამულე მელორ სტურუა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გალინას საოცარი ძალისხმევა დიდი რუსი პოეტის მარინა ცვეტაევას სახლის გადასარჩენად ბორის ოგლებლკის ჩიხში, სადაც ახლად დაარსებულ მუზეუმს გალინამ არაერთი ძვირფასი ნივთი, ცვეტაევების ნაჩუქარი, და საკუთარი ფოტოარქივი გადასცა. აქ გაიხსნა გალინას „ლიტე-

ერთხელაც გალინა ცუდად შეიქნა, გულმა უმტყუნა, სიკეთით სავსე გულმა, აკადემიკოს ლეო ბოკერიას „შეფობა“ აქვს აღებული გალინაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამერიკაში აღმოჩნდა მივლინებით. შუაღამე კია, თუმცა, აკადემიკოსის მეუღლე რამდენიმე წუთში ურეკავს ნოდარს და ატყობინებს, რომ ლეომ სათანადო განკარგულება გასცა და მკურნალი ექიმი შინ გაუგზავნა.

პორტატული აპარატით უსწრაფესად მივიდა ორი ექიმი და გალინა კრიზიდან გამოიყვანეს. როგორც ნოდარი აღნიშნავს, **„მეგობრის გრძელი ხელი“** ამერიკიდანაც მოსწვდათ.

* * *

ყოველივე ამას, რასაკვირველია, დამსახურება უნდა, რაც ნოდარმა და გალინამ მთელი თავიანთი სიკეთით სავსე ცხოვრებით დაიმსახურეს.

უკრაინის შვილსა და ჩინებულ რუსულენოვან მწერალს მეგობრებმა სამართლიანად შეარქვეს საქართველოს დიდებული რძალი, სრულიად საქართველოს კეთილი დიასახლისი, რომელმაც აურაცხელი უანგარო მეგობარი შესძინა არა მარტო თავის დიდ ოჯახს, არამედ თვით საქართველოს.

ახლა კი დროა, რომ ჩვენი გმირების გვარებიც გავამჟღავნო, ნოდარ მეძმარიაშვილს მთელი საქართველო და რუსეთის ქართველების დიდი უმრავლესობა იცნობს, გალინა ონიშჩენკო-მეძმარიაშვილი ასევე ქართველი და რუსი, უკრაინელი ინტელიგენციის საყვარელი ადამიანი და შემოქმედია...

ვიცი, ბატონი ნოდარი მისაყვედურებს, ხომ გაგაფრთხილე, ზედმეტი არაფერი დაწეროო. არა, რასაც თვითონ ვერ იტყოდა, უფრო სწორად, როგორც რომ თავად ვერ შეაფასებდა თავის თავსა და თავის ოჯახს, სწორედ მე ვცადე, თუმცა ზღვაში წვეთი გამომივიდა.

ამ მისაბაძ და სამაგალითო ადამიანებსა

და ოჯახზე თუნდაც იმიტომ ღირდა დაწერა, რომ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდა, მარტო ისეთი შვილები რომ აღეზარდათ, როგორებიც გიორგი და ალექსანდრეა, საკმარისი იქნებოდა ქვეყნის წინაშე ვალის მოსახდელად. გიორგიმ არაერთი თანამდებობა გამოიცვალა, ახლა წარმატებული ბიზნესმენია, ორი ლამაზი ქალიშვილი გაუზარდა საქართველოს – ნატო და ელენე. ალექსანდრე ცოლ-შვილით მოსკოვში ცხოვრობს, ისიც ფრიად წარმატებული ხელოვანია. ხომ გახსოვთ, ფილმები „ფესვები“, „სისხლის ყივილი“, „დონ კიხოტი“, დედ-მამასავით მოწამეთური სულისკვეთებით ზრდის თავის ელიზავეტასა და ნიკოლოზს. ერთხელ ვიღაც გამვლელს უკითხავს 3 წლის ნიკუშასთვის, ქართული სახელი რატომ გქვიაო? – **ა, ია გრუზინ!** – ამაყად მიუგია პატარა მოსკოველ ქართველს... ეს ისე, მრავლისმთქმელ დეტალად.

დღეს გალინა ონიშჩენკო 95 წლისა შესრულდებოდა. დასანანი და გულსატკენია, რომ ეს საოცარი დიდი ბებია ვერ მოესწრო შვილთაშვილებს გიორგი და ანა აბაშიძეებს.

11 თებერვალი დაუვიწყარი დღეა მეძმარიაშვილების გამორჩეულად სახელოვანი ოჯახისთვის, ქალბატონი გალინას, ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილის ოჯახის ურყევი დედაბოძის დაბადების დღეა.

და ბატონი **ნოდარის მეთავეობით შვილები გიორგი, ალექსანდრე; რძლები ლენა, ნატო, შვილიშვილები ნატო, ლიზა, ნიკუშა, ელენე მეძმარიაშვილები; შვილთაშვილები გიორგი, ანა აბაშიძეები, სიძე ლაშა აბაშიძე; ნათლულები ვიქტორია სორკინა, გიორგი მარგველაშვილი ლოცვას აღუვლენენ ქალბატონ გალინას:**

ძვირფასო, საყვარელო გალინა, შენ ის ადამიანი იყავი, ვისაც სიკვდილი ვერ ერევა და ჩვენს ხსოვნაში განაგრძობს სიცოცხლეს როგორც მართალი შემოქმედი, როგორც სიკეთისა და სიყვარულის მთესველი, როგორც დაუვიწყარი მეუღლე, დედა და დიდი ბებია, როგორც უამრავი ადამიანის ერთგული მეგობარი და მოყვასი.

უმძიმესი იყო ეს წლები უშენოდ და, რასაკვირველია, კვლავაც ასე გაგრძელდება, თუმცა შენი ოჯახის წევრების გარდა, იმდენი მადლიერი ადამიანი დატოვე, რომ იმათ გულში სამუდამოდ დამკვიდრდი და შენს შემოქმედებასთან ერთად მუდამ იარსებებ, რასაც დროთა განმავლობაში მეტი და მეტი ფასი დაედება.

ძალიან, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები!..

რასაკვირველია, მეც მთელი გულით ვუერთდები ამ ლოცვას, რადგან ამ ორი ადამიანის აგრერიგად გაშინაარსიანებულმა ცხოვრებამ მეც თავისებური სიყვარული აღმიძრა.

და ამ დროს, ბატონი ნოდარი თავისი თბილისური ბინის ერთ-ერთ მზით განათებულ ოთახში გალინას პიანინოს თავზე მის მომღიმარ პორტრეტს ჰკიდებს... და ბატონი ნოდარი გულში ეჩურჩულება:

ჩემო ძვირფასო გალოჩკა,
ჩვენი პირველი შეხვედრისას პირველი შეხედვისთანავე
იფეთქა სიყვარულის ცეცხლმა!
ასე იყო მთელი ბედნიერი სამოცდასამი წელიწადი.
შენი ცეცხლი ჩაქრა,
სიყვარულის კოცონი კი ისევ ანთია...
ასე იქნება ჩემი სიცოცხლის ბოლომდე, გეფიცები!
მერე კი შევხვდებით...

მეორე კედელზე სამი ნახატია: თბილისის, დონეცკის და მოსკოვის ნაცნობი ადგილები. სამი ქალაქი, სადაც მეძმარიაშვილების ოჯახი ცხოვრობდა და ცხოვრობს მესამე თაობაში. იქვე დგას ფირფიტების საკრავი ქართული ხალხური და რუსული სიმღერებით, რბილი სავარძლები და ირგვლივ აწყვია წიგნები და გაზეთები.

აქ ყველაფერი ბატონი ნოდარის წლოვანების, ხასიათის და დღევანდელი მოთხოვნილებების უნისონშია. ხშირად მოდიან ნათესავები, მეგობრები და სუფრაზე ჩნდება ქართული წითელი ნახევრად ტკბილი ღვინო ან კონიაკი „სარაჯიშვილი“ და იწყება – „გახსოვს... აბა, გაიხსენე...“ და ბატონ ნოდარს მშენებლობა მაინც არ ავიწყდება, სიტყვას აუცილებლად ჩამოაგდებს მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სამთავრობო დონეზე...

„აქვეა“, ცხადია, ქალბატონი გალინაც, იგი ზემოდან დაჰყურებს, ყოველივე ამას და ჩვეული სითბოთი იღიმება...

გურამ გოგიაშვილი,
2021 წლის იანვარი
592-700-102

პუტინი ომის დასრულებას 9 მაისს გეგმავს?

რომის პაპის ფრანცისკეს თქმით, უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა აპრილის ბოლოს შეხვედრისას უთხრა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გეგმავს დაასრულოს უკრაინაში შეჭრა 9 მაისს, როდესაც რუსეთი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღეს აღნიშნავს, – ამის შესახებ პაპმა იტალიურ გაზეთ Corriere della Sera-სთან ინტერვიუში განაცხადა.

„შესაძლოა, ამითაც აიხსნება ამ დღეებში ესკალაციის გაღვივება. რადგან ახლა ეს არ არის მხოლოდ დონბასი, ეს არის ყირიმი, ეს არის ოდესა, ის ართმევს შავი ზღვის პორტს უკრაინას, ეს ყველაფერია. ვხედავთ, რომ არ არსებობს საკმარისი ნება მშვიდობისთვის. პესიმისტურად ვარ განწყობილი, თუმცა ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი ომის შესაჩერებლად“, – თქვა პონტიფიკოსმა.

რომის პაპის თქმით, მან პუტინთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა, თუმცა პასუხი არ მიუღია. **„რასაც შევძლებ, ყველაფერს გავაკეთებ. თუ კარი პუტინმა გააღო“,** – თქვა მან.

დახმარების ახალი პაკეტი უკრაინისთვის

დიდი ბრიტანეთი უკრაინას 300 მილიონი ფუნტის (375 მილიონი დოლარის) ღირებულების სამხედრო დახმარების ახალ პაკეტს გამოუყოფს.

დახმარება მოიცავს რადიოელექტრონულ აღჭურვილობას, ასევე მობილურ რადიოლოკაციურ სისტემებსა და ღამის ხედვის აღჭურვილობას. სამხედრო დახმარებას შორის ასევე იქნება უპილოტო საფრენი აპარატები, GPS-ის სიგნალის ჩახშობის აღჭურვილობა და ჯავშანჟილეტები.

ამ დრომდე დიდ ბრიტანეთს უკრაინისთვის სამხედრო დახმარების სახით 200 მილიონი ფუნტი აქვს გამოყოფილი. ქვეყანამ უკრაინას 5 000-ზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა და საჰაერო თავდაცვის ხუთი სისტემა გაუგზავნა, ასევე სხვა აღჭურვილობა. გასულ კვირას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ნატო-ს ქვეყნები არსებითად ჩართულები არიან ომში უკრაინისთვის იარაღის მიწოდებით.

დანილოვი უნგრეთს ემუქრება...

უკრაინის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების საბჭოს მდივანი ალექსეი დანილოვი აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა უნგრეთი წინასწარ გააფრთხილა უკრაინაზე თავდასხმის მომზადების შესახებ. უკრაინული მედიის ცნობით, ეს განცხადება დანილოვმა ტელემარათონის ეთერში გააკეთა.

„უნგრეთი ღიად აცხადებს რუსეთთან თავისი თანამშრომლობის შესახებ. მეტიც, ის წინასწარ იყო გაფრთხილებული პუტინის მიერ იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაზე იქნებოდა თავდასხმები. თქვენ ნახეთ მისი პოზიცია“, – განაცხადა დანილოვმა. დანილოვის თქმით, უნგრეთს უკრაინის ნაწილის წართმევის გეგმები ჰქონდა.

„ის რატომღაც მიიჩნევდა, რომ შეუძლია წაიღოს ტერიტორიის თავისი ნაწილი. ეს არასდროს მოხდება. ვნახოთ, რა შედეგები იქნება ამ ომის შემდეგ ამ ქვეყნისთვის“, – აღნიშნა დანილოვმა.

ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲘᲡ **და უკრაინაში ომს ბოლო არ უჩანს, რომელიც, ზოგიერთისთვის რომ გეკითხა, მომენტალურად დამთავრდებოდა, ან სულც არ დაიწყებოდა. უკვე ორი თვეა, რაც რუსეთი შეუჩერებლად უტეევს ერთმორწმუნე უკრაინელ ხალხს. ომის შედეგებმა ერთი ქვეყნის საზღვრები გადალახა და მთელს მსოფლიოს მოედო! ომის დასაგმობად, დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეიკრა და თითქმის მთელი მსოფლიო აიყოლია. პოლიტიკოსები და პოლიტმეცნიერები ყურადღებით აკვირდებიან ჩინეთს, საით გადახრის სასწორს ეს გიგანტი სახელმწიფო, რადგან მის პოზიციაზე მნიშვნელოვნად შეიძლება იყოს დამოკიდებული რუსულ-უკრაინული ომის შედეგები.**

ჩინეთი კი, არც იქითაა ჯერ და არც აქეთ. მსოფლიო მასშტაბის მკითხაობაა გაჩაღებული იმასთან დაკავშირებით, ბოლოს და ბოლოს როგორ მოიქცევა ჩინეთი, და საით წავა რუსულ-ჩინური ურთიერთობა, რომელიც, თითქოსდა, კლდესავით მყარი იყო ომის დაწყებამდე. უკრაინაში შეჭრამდე ოდნავ ადრე, უფრო ზუსტად კი, ოთხ თებერვალს, რუსეთის პრეზიდენტი ჩინეთს ეწვია, ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებისთვის ხელისმოსაწერად. ზუსტად ერთი თვის თავზე, ეს დოკუმენტი ნამდვილი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. დასავლურმა სანქციებმა სასტიკი დარტყმა მიაყენა რუსეთის ეკონომიკას და მის საერთაშორისო იმიჯს. ასეთ ფონზე, ჩინეთმა ჩვეულებრივისგან განსხვავებული პოზიცია დაიკავა. მან რუსეთს არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური მაშველი რგოლი არ შესთავაზა. ჩინური მედია პირდაპირ და გადაწყვეტილად არ გმობს უკრაინის მიმართ რუსეთის აგრესიას.

ჩინეთი სანქციებსაც კი არ უწესებს აგრესორს, თუმცა პირზე გამუდმებით აკერია, რომ ემხრობა უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. „ჩინეთი ემორჩილება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს, ითვალისწინებს მსოფლიოს ერთა უსაფრთხოების ინტერესებს, პატივს სცემს ძალისხმევას, რომელიც კრიზისის მშვიდობიან დარეგულირებას, სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და ჰუმანიტარული ვითარების შემსუბუქებას უწყობს ხელს“, განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. და მაინც, ჩინეთი თავს არიდებს რუსეთზე მკაცრ ზეწოლას, რომელიც მოსკოვზე ომის გამო ხორციელდება. ჩინეთი ცდილობს რუსეთ-უკრაინის ომში პრაგმატული ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს. თავად ჩინელი ანალიტიკოსები უსვამენ ხაზს, რომ ამ კონფლიქტში ჩინეთი ნეიტრალურია, რომლის გასამართლებლად ისინი კონფუციისეულ სიბრძნესაც კი იშველიებენ, აღნიშნავენ რა, რომ ეს სიბრძნე ზომიერებას გვკარნახობსო, მაგრამ რაც არ უნდა ეცადონ ჩინელები, მათი, როგორც ტიპიური ავტორიტარული ქვეყნის მსოფლმხედველობა, დღეს მაინც ანტიდასავლურია. ჩინეთის ლიდერი იზიარებს პუტინის სწრაფვას, შეარბილოს სამყაროს განწყობა ავტორიტარიზმის მიმართ და ამერიკის წამყვანი როლი მსოფლიოში გახადოს საეჭვო. ეს იმას ნიშნავს, რომ უკრაინაში, ჩინეთის მხრიდან, კონსტრუქციული როლის თამაშს არ უნდა ველოდოთ.

სი-ძინ-პინის საზრუნავი ის კი არაა, თუ რა არის მსოფლიოსთვის და ჩინეთისთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, უკეთესი, არამედ უფრო ის, თუ რა ჯობია მისთვის, როგორც ჩინეთის ძლიერი მმართველისთვის. ზოგადად, ჩინეთს აინტერესებს რუსეთის ერთგვარი შესუსტება, რაც მას საშუალებას მისცემს გაიფართოვოს სავაჭრო-ეკონომიკური ასპარეზი, გაზარდოს გავლენა მოსკოვზე, ან სულაც, შეიძინოს რუსული საწარმოები და დასავლური იზოლაციის პირობებში, გაზარდოს აზიაზე რუსეთის დამოკიდებულების დონე. ჩინეთისთვის, უკრაინის ომი ერთი გრძელი პროცესის ნაწილია ძალთა გლობალური ბალანსის შესაცვლელად. ჩინეთი ცივი ომის შედეგების გადახედვისა და საერთაშორისო ურთიერთობების უფრო პრაგმატულ, მრავალპოლარულ სისტემაზე გადასვლის მომხრეა. მას თავისი გავლენის ცენტრის შექმნა სურს. ჩინეთი თავად არ უერთდება სანქციებს, მაგრამ სანქციების ეფექტს პატივს სცემს. მაგალითად, ჩინეთის სახელმწიფოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები რუსეთთან ნავთობის არსებულ კონტრაქტებს იცავენ, თუმცა, მიუხედავად დიდი ფასდაკლებისა, ახალ შესყიდვებს ერიდებიან. სანქციების შედეგებს აღიარებენ ჩინელი მეცნიერებიც.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ცნობით, ჩინელმა პარტნიორებმა ამ უწყებასთან კონტაქტი შეწყვიტეს და პროექტები გაყინეს. ამავე დროს, ჩინეთისთვის, მართვის რუსული სტილი უფრო მისაღებია, ვიდრე დასავლური, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩინეთი დასავლეთთან უფრო აიგივებს თავის თავს, ვიდრე რუსეთთან. მაგალითად, ჩინეთ-ამერიკის წლიური სავაჭრო ბრუნვა 700 მილიარდამდეა, ხოლო ჩინეთ-რუსეთისა მხოლოდ 147 მილიარდს შეადგენს. ეს ციფრები ბევრ რამეზე მეტყველებს. ჩინეთი, როგორც ნავთობის ყველაზე დიდი იმპორტიორი, და სურსათისა და ნედლეულის უდიდესი შემსყიდველი, ამ ეტაპზე, სასაქონლო ბაზრის არასტაბილურობის გამო, შესამჩნევ ეკონომიკურ ზარალს განიცდის. ჩინეთს დასავლეთის დასუსტებაც სურს, მაგრამ არა თავისი ეკონომიკური დაკნინების ხარჯზე. ამიტომ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩინეთმა მკვეთრად პრორუსული მხარე დაიკავოს. როგორც ჩანს, რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება რუსულ-უკრაინული ომი, მით უფრო მეტად გაუჭირდება ჩინეთს ამ კონფლიქტიდან განზე დგომა. ამიტომ, გამოდის, რომ ჩინეთს ომის ახლავე დამთავრება ურჩევნია.

* * *

ᲒᲔᲮᲡᲛᲔᲑᲐᲗ, ალბათ, რომ ამას წინათ, ვარშავის ხელშეკრულებაზე, ანუ აღმოსავლეთ ევროპის საბჭოურ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსზე, რომელიც თავის დროზე ნატოს საპირწონედ შეიქმნა დასავლეთ ევროპაში. ამ ორი დაპირისპირებული სამხედრო გაერთიანების არსებობა იმით იყო განპირობებული, რომ თითოეული მხარე თავის პოლიტიკურ მრწამსს იცავდა. იმ იდეოლოგიური ჭიდილის ფონზე, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობდა, მუდმივად იგრძნობოდა უკმყოფილება იმის გამო, რომ ისინი,

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲣᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ!

1956 ᲬᲚᲘᲡ ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ...

მეორე მსოფლიო ომის შედეგების მიხედვით, კეთილდღეობითა და თავისუფლებით განებივრებულ დასავლეთ ევროპისგან მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ. უკმაყოფილება, ხანდახან, სერიოზული სახალხო გამოსვლებით მთავრდებოდა ხოლმე. ამის ერთერთი მკაფიო მაგალითია 1956 წლის სისხლიანი რევოლუცია უნგრეთში, რომელიც მსოფლიოს დღესაც არ დავიწყებია, თუმცა, მისი ინტერპრეტაცია ევროპაში, უნგრეთის ჩათვლით, და რუსეთში, რადიკალურად განსხვავებულია. უნგრეთისთვის, ეს სახალხო რევოლუციური აჯანყება გახლდათ. რუსეთის თვალში კი, დასავლეთის მიერ წაქეზებული კონტრრევოლუცია.

გამოხდა ხანი და ღმოჩნდა, რომ ამ ამბავს შორსმიმავალი შედეგები ჰქონია. უნგრეთის აჯანყებამ ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირში და, ზოგადად, სოციალისტურ ბანაკში, დისიდენტური მოძრაობის ჩასახვასა და მის სერიოზულ პოლიტიკურ მოძრაობად ქცევას. სწორედ უნგრეთში განვითარებულმა იმ მძაფრმა ანტიკომუნისტურმა მოვლენებმა დაანახა მსოფლიოს საბჭოთა კავშირის ნამდვილი სახე. გავიხსენოთ, რა იყო ამ აჯანყების საბაბი და დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ განვითარდა მაშინ ის ტრაგიკული მოვლენები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა ავსტრიის ნეიტრალიტეტი აღიარა და საბჭოთა არმიამ ავსტრიის ტერიტორია დატოვა. უნგრეთიც უნდა გათავისუფლებულიყო საბჭოთა სამხედრო ძალებისგან, მაგრამ 1947 წლიდან დაწყებული, საბჭოთა სამხედრო შენაერთების ყოფნა უნგრეთის მიწაზე არასოდეს არ შეწყვეტილა, ამა თუ იმ მიზნითა და მიზეზით. საბჭოთა კავშირის პირდაპირი ხელშეწყობით, უნგრეთის ხელისუფლებაში კომუნისტები მოვიდნენ, რომელთა ლიდერი მატიაშ რაკოში იყო. მან უნგრეთში საბჭოთა ტიპის დიქტატორული მმართველობა ჩამოაყალიბა. დაიწყო ასეთი რეჟიმისთვის დამახასიათებელი რეპრესიების ტალღა.

ციხეში აღმოჩდნენ ოპოზიცია, ეკლესიის მსახურები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. სტალინის სიკვდილის შემდეგ, უნგრეთში, წლინახევრის განმავლობაში, ეგრეთწოდებული დათბობის პერიოდი დადგა. უნგრეთის ცენტრალურმა კომიტეტმა მათიას რაკოში გადააყენა და მის ნაცვლად იმრე ნაჯი დანიშნა. ინგლისურად ასე გამოთქვამენ: Imre Nagy. იმრე ნაჯიმ უნგრეთში სრულიად განსხვავებული პოლიტიკის გატარება დაიწყო. შეწყდება რეპრესიები, გაიზრდება ხელფასები, დასრულდა კერძო საკუთრების კონფისკაცია და ასე შემდეგ. რაკოშის მიმდევრები და, ცხადია, საბჭოთა კავშირიც, მტრულად უყურებდნენ იმრე ნაჯის დათბობის პოლიტიკას. ამიტომ, უნგრეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ის თავიდან მოიშორა და მის ადგილზე ერთი ახალგამოჩეკილი კომუნისტი დანიშნა, რომელმაც ქვეყნის მართვა ძველი მეთოდებით განაგრძო. ამან, უნგრეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ხალხში, იმრე ნაჯის ხელისუფლებაში დაბრუნებისა და ხელახალი არჩევნების მოთხოვნა გაჩნდა. 1955 წლიდან, უნგრეთი ვარშავის პაქტის წევრი იყო და, შესაბამისად, მის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარი იდგა. 1956 წლის ივლისში უნგრეთის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად მატიაშ რაკოშის თანამოაზრე დაინიშნა, რის გამოც კიდევ უფრო იმატა ხალხში უკმაყოფილებამ. ახალი მმართველი არავის არ მოსწონდა, თავად კომუნისტებსაც კი. ქვეყანაში გახშირდა სახალხო გამოსვლები და გაიზარდა აღშფოთება კომუნისტური მთავრობის მიმართ. 1956 წლის 23 ოქტომბერს აჯანყება დაიწყო.

თავიდან, ეს იყო სტუდენტების მშვიდობიანი საპროტესტო დემონსტრაცია, რომლებმაც საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმისა და უნგრეთში არსებული სოციალური და პოლიტიკური პრობლემების წინააღმდეგ აიმაღლეს ხმა. დემონსტრანტებმა ადგილობრივ ხელისუფლებას 16 მოთხოვნა წაუყენეს, მათ შორის: უნგრეთის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანა, ვარშავის ხელშეკრულებიდან გასვლა და ნეიტრალიტეტის გამოცხადება, რაც საბჭოთა ხელისუფლებისთვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა. უნგრეთის ხელისუფლება ძალოვანი სტრუქტურების გამოყენებით, დემონსტრაციის დაშლას შეეცადა, რასაც სისხლიანი შეტაკებები მოჰყვა. ვითარება ჯარის ხალხის მხარეზე გადასვლამ დაამძიმა, და დემონსტრაცია სრულმასშტაბიან ამბოხებად იქცა. გამძვინვარებულმა ხალხმა ერის მოღალატედ შერაცხულ კომუნისტებზე ფიზიკური იერიში მიიტანა და სტალინის, როგორც მათი უბედურების მთავარი მიზეზის, ქანდაკება დაანგრია. სასწრაფოდ აირჩიეს ახალი ანტიკომუნისტური მთავრობა, რომელმაც დახმარებისთვის დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებს მიმართა. პასუხად, საბჭოთა კავშირმა უნგრეთში ჯარი გაგზავნა. 24 ოქტომბრის ღამეს, პროვინციაში განლაგებული საბჭოთა საჯარისო შენაერთები ბუდაპეშტისკენ დაიძრნენ. უნგრეთის დედაქალაქისკენ მოძრავი ტანკების ამბავი ელვისებური სისწრაფით მოედო ქვეყანას. იმავე ღამეს შეიქმნა საბრძოლო ჯგუფები, რომლებიც მთავარი სატრანსპორტო კვანძების ახლოს განლაგდნენ. 24 ოქტომბერს, დღისით, პირველი შეტაკება მოხდა უნგრელებსა და საბჭოთა ჯარისკაცებს შორის, რომლის შედეგად 20 წითელარმიელი დაიღუპა და 48 დაიჭრა. ასევე, ბრძოლის პირველივე საათებში განადგურდა ოთხი რუსული ტანკი და ოთხი ჯავშან ტრანსპორტიორი. ასეთი წინააღმდეგობის ფონზე, კრემლმა უკან დაიხია და ბუდაპეშტიდან ჯარების გაყვანა დაიწყო.

იმრე ნაჯი უნგრეთის ხელისუფლების სათავეში დაბრუნდა. პირველ ნოემბერს, უნგრეთმა, ავსტრიის მსგავსად, ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, თუმცა, ყველაფერი ამით არ დასრულებულა. ბუდაპეშტის ქუჩებში ხელახლა გამოჩნდა საბჭოთა ტანკები. უფრო მეტიც, სამ ნოემბერს, საბჭოთა დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად მისული უნგრეთის მთავრობის დელეგაცია დააპატიმრეს. 1956 წლის ოთხ ნოემბერს, მარშალ კონევის მეთაურობით, უნგრეთში დაიწყო საბჭოთა სამხედრო ოპერაცია, სახელწოდებით, „გრიგალი“. ორკვირიანი ბრძოლის შედეგად, 2700-მდე უნგრელი და 700-მდე საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. დაიჭრა 21-ათასამდე ადამიანი ორივე მხარეს. ისტორია ამბობს, რომ ამბოხების მიმართ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ასეთი რადიკალური ცვლილება დასავლეთის გულგრილობით იყო გამოწვეული. ეს ის დრო იყო, როცა სუეცის ცნობილი კრიზისი განვითარდა და, მაშინ, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს სულ არ სცხელოდათ უნგრეთისთვის. ამერიკაში კი, საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა და ამის გარდა არაფერი ახსოვდათ. შტატების მაშინდელმა პრეზიდენტმა აიზენჰაუერმა უნგრეთის მოვლენებისგან შორს დაიჭირა თავი.

მან დიპლომატიური არხებით ამცნო საბჭოთა მთავრობას, რომ ამერიკა არ ჩაერეოდა უნგრეთის საშინაო საქმეებში, რითაც შტატებმა მწვანე შუქი აუნთო საბჭოთა კავშირს აჯანყების ჩასახშობად. მიუხედევად ყველაფრისა, უნგრულ რევოლუციას მძლავრი გამოხმაურება მოჰყვა დასავლეთის საზოგადოებაში. 1956 წლის შვიდ ნოემბერს, პარიზელი სტუდენტები საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შტაბბინაში შევარდნენ და ცეცხლს მისცეს ის. დაიღუპა ერთი და დაშავდა 70 ადამიანი. ფრანგმა კომუნისტებმა სახალხოდ დაიწყეს პარტბილეთების დახევა. საბჭოთა აგრესიამ დასავლეთის კომუნისტურ და მემარცხენე წრეებში მნიშვნელოვანი იმედგაცრუება გამოიწვია. ბევრი კომუნისტური ორგანიზაცია საერთოდ დაიშალა. სხვების წევრების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ზომიერი კომუნისტური იდეოლოგიის ევროპელი მოღვაწეები საბჭოთა პოლიტიკის კრიტიკით გამოვიდნენ. მათ შორის, გამოირჩეოდა ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი ჟან-პოლ სარტრი.

საერთაშორისო დაძაბულობა 1956 წლის ნოემბერ-დეკემბერში მელბურნში მიმდინარე ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზეც აისახა. პროტესტის ნიშნად, თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა ესპანეთმა, ნიდერლანდებმა და შვეიცარიამ. ოლიმპიურ სოფელში უნგრულმა დელეგაციამ კომუნისტური დროშა თავისუფალი უნგრეთის ალმით შეცვალა. წყალბურთის ნახევარფინალურ მატჩში, საბჭოთა და უნგრულ გუნდებს შორის უნგრელების აშკარა უპირატესობას, აუზში და ტრიბუნებზე ფიზიკური დაპირისპირება.

დღეს, ამით მინდა დავასრულო... დიდი მადლობა, რომ ყურადღებით გვისმენთ და გვიყურებთ. მე ნუგზარ რუხაძე ვარ და მომავალ შაბათამდე გემშვიდობებით.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ (Ზ) ᲠᲣᲮᲐᲫᲔ.
POSTV

შეხვედრა მცხეთელ გოლიათთან

ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, ჩემ თვალწინ უაღრესად საინტერესო და ღირსეული პიროვნებების მთელმა პლეადამ ჩაიარა. ბევრთან პირადი ურთიერობა მაკავშირებდა, ზოგიერთთან – უშუალო და კეთილმეგობრული. ზოგჯერ მათთან შეხვედრა წამის გაელვებას ჰგავდა, მაგრამ სამუდამოდ აღებეჭდა ჩემს მეხსიერებას.

მართლაც გაელვებასავით იყო შეხვედრა ლეგენდარულ ქართველ ფალავანთან, გოლიათ სანდრო კანდელაკთან მცხეთაში.

მაშინ მეშვიდე კლასში ვსწავლობდი. ჩვენმა შესანიშნავმა ისტორიის ახალგაზრდა მასწავლებელმა გურამ ნადარეიშვილმა მოსწავლეები მცხეთაში ექსკურსიაზე წაგვიყვანა. ეს ჩვენი პირველი მოგზაურობა იყო ამ ისტორიულ, ძველ ქრისტიანულ საქართველოს ყოფილ დედაქალაქში. მატარებელით ვიმგზავრეთ მცხეთამდე. დავათვალიერეთ დიდებული სვეტიცხოველი, სადაც ქრისტეს კვართი ინახება, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. მთაზე ამაყად აღმართული უძველესი ჯვრის მონასტერი, შთამბეჭდავი სამთავროს დედათა მონასტერი და მცხეთასთან ახლოს მთის წვერზე აგებული, ეულად მდგარი მცირე ზომის საყდარი, საიდანაც ომიანობის დროს შეხიზნული ადამიანები მალულად გვირაბით უკავშირდებოდნენ მტკვარს. დღემდე სიამაყის გრძნობით ვივსები ჩვენი წინაპრების თავდადებული შრომით აგებული სიწმინდეების ხილვით.

წმინდა ნინოს საყდრისკენ, კარსანის ხეობას უნდა შევდგომოდით, როცა დავინახეთ ჩვენკენ მომავალი მთასავით კაცი, კოხტად მორგებული კახური ქუდით. ხანდაზმული, ფართო მხარბეჭიანი, მაღალი და ბრგე, გეგონებოდა მის ძარღვებში „არაგვი მოედინებოდა“. შუბლზე ნაჭრილობევი ღრმა იარა ეტყობოდა. ჯოხზე დაყრდნობილი გოლიათი ჩვენკენ მძიმედ მოემართებოდა. იღლიაში ამოჩრილი შოთის პურებით და თუთუნით შეყვითლებულ თითებს შორის გარჭობილი ძველი, ყავისფერი ჩიბუხით, რომელსაც პერიოდულად აბოლებდა.

საიდან გვეცოდინებოდა, ვინ იყო ეს დევივით კაცი, თალხი ფერის გრძელი და ფართო ხალათით, მაგრამ საოცარი კეთილი თვალებით, სათნო, გასხივოსნებული სახის გამომეტყველებით გვიახლოვდებოდა და გვიღიმოდა მოზარდებს.

ჩვენ არ ვიცოდით, მაგრამ იცოდა ჩვენმა კეთილგონიერმა მასწავლებელმა. მოწიწებით მიესალმა, ჯერ ჯანმრთელობა გამოჰკითხა... შემდეგ ჩვენ წარმოგვიდგინა ეს ცოცხალი ლეგენდა, რომლის მძლეველი დედამიწის ზურგზე თურმე არავინ ყოფილა!

ბალღებო, საით გაგიწევიათ? – გვკითხა და თბილი ღიმილით შეგვათვალიერა. იქვე სამეზობლო სკამზე ჩამოჯდა, ჩვენ კი გარს შემოვეხვიეთ. მან რამოდენიმე ეპიზოდი გაიხსენა თავისი წარსულიდან. მახსოვს, მოიგონა პოლონელი ნიკოლაი კოჟენიაკი, უკრაინელი ივან პოდდუბნი და ვოლოდიმირ ოლეინიკი და რუსი ივან ზაიკინი. ისინი, ვინც დაუმარცხებია შერკინების დროს და ვის ვაჟკაცობასაც დიდად აფასებდა. გაგვაცნო მისი ვაჟი ოთარი, შემდგომში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

ვთხოვეთ ჩვენთან ერთად გადაეღო სურათი. ღიმილით დაგვთანხმდა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ, მძიმედ წამოდგა, დაგვემშვიდობა და სახლისკენ გზას გაუდგა. გავყურებდით შუა გზაზე დინჯად მიმავალ დევკაცს, მისი ფართო მხრები და ვებერთელა ტანი მთელ შარაგზას ფარავდა.

ახლა მცხეთის ცენტრში დგას ბრწყინვალე მოქანდაკის ბიძინა ავალიშვილის (რომელსაც ახლოს ვიცნობდი, ის ჩემს მეზობლად ცნობილ მხატვართა სახლში კავსაძის ქუჩაზე ცხოვრობდა და სახელოსნოც იქვე ჰქონდა, სადაც მერაბ ბერძენიშვილი, გიგლა ფირცხალავა და სხვა სკულპტორები და მხატვრები ცხოვრობდნენ) მიერ შესრულებული სანდრო კანდელაკის შესანიშნავი ბიუსტი, როგორც ამ უძველესი ქალაქის და მისი სახელოვანი შვილის აღიარების მარადიული სიმბოლო. ძეგლებთან უსასტიკესი ბრძოლის ქარტეხილები, მადლობა ღმერთს, ამ ქანდაკებას არ შეხებია.

ძეგლების გადატანა-გადმოტანაში და ნგრევა-აფეთქებაში საბაკაშვილის ხელისუფლებას ბადალი არ ჰყავდა. უტიფარი საბაკაშვილის მიერ წამოწყებული 2008 წლის ომის დროს, უგუნური პარლამენტარი ნუგზარ წიკლაური, რუსი კლასიკოსების – პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის, ჩაიკოვსკის, გორკის ძეგლების აღება-განადგურებასაც კი ითხოვდა. ხოლო რეგვენი პარლამენტარი გივი თარგამაძე, რუს გენერალ ვიაჩესლავ ბორისოვს 50 ათას დოლარს სთავაზობდა გორის ცენტრში სტალინის ძეგლის ასაფეთქებლად, რომელმაც სასტიკი უარით გამოაპანღურა ეს ლენჩი – „მე ბელადის ძეგლს არ დავანგრევო“. ბრიყვი წიკლაური ამასწინათ სკოლების პროგრამიდან რუსული ენის ამოღებაზე ხმაჩახლეჩილი ბღაოდა.

რა გასაკვირია, რომ ამ ვანდალებმა მოგლიჯეს და გააქრეს თბილისში დაბადებული და გაზრდილი, მსოფლიოში აღიარებული უდიდესი მეცნიერის, ბირთვული ცენტრის დირექტორის, სამგზის სოციალისტური შრომის გმირის, ოთხგზის სტალინური პრემიის ლაურეატის, კურჩატოვის, ლანდაუს, კოროლიოვის, ხარიტონის, ალფიოროვის თანამოაზრის და კოლეგის, აკადემიკოს კირილ შჩოლკინის ბიუსტი, რომელიც თბილისში ფიზიკის ინსტიტუტის წინამდებარე სკვერში იდგა.

რუსეთში ქალაქი, ინსტიტუტი, პროსპექტებია მისი სახელობის, ჩვენ კი ასეთი ღირსეული და სასახელო თბილისელის ბიუსტი გავანადგურეთ და სანაგვეზე მოვისროლეთ.

განა ეს არის ძართველების ყბადაღებული ტოლერანტობა?!

* * *



მე ვიცნობდი სახელგანთქმულ **პირველ ქართველ ტანმოვარჯიშეს გიორგი ეგნატაშვილს, რომელმაც ქართულ ტანვარჯიშს საფუძველი ჩაუყარა.** (გიორგი იოსებ ჯუღაშვილის ახლო ნათესავი გახლდათ). მისი 70 წლის იუბილეზე, რომელიც „რკინიგზელთა სახლში“ 1955 წელს გაიმართა, ჩვენ სრულიად ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებმა შევასრულეთ სპეციალური, საინტერესო და დახვეწილი მხატვრული ვარჯიში „ლეკურის“ ჰანგების თანხლებით, რამაც დამსწრე საზოგადოების აღტაცება გამოიწვია. დადგმა განახორციელა ჩვენმა ფიზკულტურის ნიჭიერმა მასწავლებლემა ვახტანგ მარსაგიშვილმა. იუბილის წამყვანი. კონფერენსიე იყო ქართული ესტრადის მშვენება – ქართლოს კასრაძე, რომელმაც პირველად იმ საღამოს შეასრულა მისი პოპულარული ნომერი „ტომატი“. ეს იყო გრანდიოზული ზეიმი-სანახაობა.

ბატონი გიორგი საიუბილეო საკარძლიდან წამოდგა და ყველას მოგვეფერა. მის თვალზე ცრემლი აკიაფდა.

ომარ მარგველაშვილი

„მე, ფოიერბახი“ - თეატრი თეატრში

„მე, ფოიერბახი“ თუმანიშვილის თეატრში ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლის ფარგლებში დაიდგა, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

სპექტაკლი არის ტანკრედ დორსტის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით რეჟისორ გიორგი ქლაინის სადიპლომო ნამუშევარი. პიესა მოგვითხრობს თეატრის მსახიობების შესახებ, რომლებიც გარდაისახებიან და თეატრის სცენიდან მაყურებელს სხვადასხვა პერსონაჟს წარუდგენენ, რომელთაც სხვადასხვა ისტორია აქვთ, მაგრამ ამ პერსონაჟების მიღმა არიან ნამდვილი ადამიანები თავისი ცხოვრებითა და ყოველდღიურობით.

„პიესაში წარმოჩენილია ის, თუ რა ხდება მაშინ, როდესაც თეატრში მაყურებელი არ არის, მსახიობების ყოველდღიურობა და ის სირთულეები, რომელთა გადალახვაც უწევთ საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე. სპექტაკლის „მე, ფოიერბახი“ მხატვარი გახლავთ კატო გელაშვილი, ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე, ხოლო მსახიობები: ზაალ გოგუაძე, ლაშა კონცელიძე და მარინა ბურდული.

ტანკრედ დორსტი გახლდათ ცნობილი გერმანელი დრამატურგი, რომელმაც თეატრში აქტიური მოღვაწეობა 60-იანი წლებიდან დაიწყო. დორსტი მიუნხენში ცხოვრობდა და მუშაობდა. მის შემოქმედებაზე უდიდესი გავლენა იქონია ეუენ იონესკოს, ჟან ჟიროდუსა და სემიუელ ბეკეტის პიესებმა. ცნობილ დრამატურგს 1990 წელს გეორგ ბიუხნერის პრემია მიენიჭა“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში სპექტაკლის ჩვენებას დაესწრო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი.

„ნათლობა იორდანეში“ VENEZIA SHORTS აჩვენებენ

ეროვნული კინოცენტრი ინფორმაციას ავრცელებს 90-იან წლებში ჩაფიქრებულ ამბავზე, **რომელიც ეკრანზე ახლა გაცოცხლდა.** „ნათლობა იორდანეში“ მიხეილ კვირიკაძის პირველი ფილმია, რომელშიც ისაა რეჟისორიც, სცენარის ავტორიც, ოპერატორიცა და მემონტაჟეც. ფილმში მთავარ როლს პაატა ინაური ასრულებს.

„რადგან მთელი ეს პროექტი, ამდენი წლის განმავლობაში, გონებაში მქონდა წარმოდგენილი, ზუსტად ვიცოდი, როგორი უნდა ყოფილიყო ეკრანზე ყოველი კადრი და მიზანსცენა“, – აცხადებს მიხეილ კვირიკაძე.

„ნათლობა იორდანეში“ შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით (დაფინანსების 75%). ფილმი ივნისში წარდგენილი იქნება მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსზე სახელწოდებით VENEZIA SHORTS.

◎ ფიცარნაგზე

თამასა გვავალდებულებს

ლაშა ტალახაძემ და კამპანიამ ისე მიგვაჩვიეს გოლიათთა ფორუმებში წარმატებებს, რომ თითოეულ ტურნირში ქართველ ძალოსანთა ტრიუმფებს ველით.

გამონაკლისს არც ელადის ქალაქ ჰერაკლიონში მიმდინარე ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატი წარმოადგენს, სადაც 60-ზე მეტი ქვეყნის 300-მდე შტანგისტს შორის ბერძნულ ფიცარნაგზე 5 ქართველი „ჯვაროსანიც“ გამოვა (**მწვრთნელები** მალხაზ ლომთაძე, ილია თვალოძე, თემურ ჯანჯღავა).

შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდის ლიდერმა **ნათია გადელიამ**, რომელიც ტიტულის დაცვას 81 კილოში 8 მაისს თბილისის დროით 19 საათიდან შეეცდება, შარშან ჯერ პოლონეთში გამართულ 17-წლამდელთა ევროპირველობაზე მოიხვეჭა სამივე „ოქრო“, ხოლო შემდეგ საუდის არაბეთში მოწყობილ მუნდიალზე მოიპოვა თანატოლებთან ბრძოლაში 2 „ოქრო“ და 1 „ვერცხლი“. დანარჩენ ჩვენებურთა გრაფიკი:

დღეს (16 სთ). გურამ გიორბელიძე (67 კგ).
6 მაისს (16 სთ). საბა ასანიძე (81 კგ).
7 მაისი (19 სთ). მანუჩარ გოგოხია (89 კგ).
9 მაისი (13 სთ 30 წთ). გურამ ვეკუა (102 კგ).

◎ თაობა

ნაადრევად დაბრძენებულნი

ამ დღეებში კუნძულმა როდოსმა მოჭადრაკეთა ევროპის სასკოლო ჩემპიონატს უმასპინძლა, სადაც შესანიშნავად ითამაშეს საქართველოს წარგზავნილებმა: 12 მათგანიდან ზუსტად ნახევარი საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა.

განსაკუთრებით გვასახელეს 13-წლამდელმა გოგონებმა, რომლებმაც მედლებს არავინ გააკარეს: **ანასტასია კირთაძე** (ქუთაისი), მარიამ ცეცხლაძე და კესარია მგელაძე (ორივე — ბათუმი). ამავე ასაკის ვაჟთა შორის მხოლოდ უარესმა კოეფიციენტმა შეუშალა ხელი რომელიმე ხარისხის ჯილდოს დაუფლებაში ერეკლე ტაბატაძეს — მეოთხე ადგილი.

დანარჩენი „ჯვაროსანი“ პრიზიორები: **„ვერცხლი“** — გაბრიელ გაბადაძე (11-წლამდელი ვაჟები); **„ბრინჯაო“** — ანასტასია ქუთათელაძე (11-წლამდელი გოგონები), ბარბარე შონია (9-წლამდელი გოგონები).

◎ თანამშრომლობა

მომავალზე გათვლილი

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია რაგბის კლუბ „ლელოს“ მხარდამჭერი და სპონსორი გახდა.

მემორანდუმს, რომელიც ამ ეტაპზე 1 წელიწადზეა გათვლილი, ხელი კორპორაციის გენერალურმა დირექტორმა **გიორგი ბახტაძემ** და კლუბ „ლელოს“ დამფუძნებელმა **ვასილ (ბათუ) კევლიშვილმა** მოაწერეს. დიდ დიღომში, „ლელო არენაზე“ გამართულ ღონისძიებას რაგბის კავშირის პრეზიდენტი **იოსებ ტყემალაძე,** აღმასრულებელი დირექტორი **ბაჩო ხურციძე**, გამგეობის თავმჯდომარე **დავით კაჭარავა** და სხვა მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ.

გიორგი ბახტაძე: „მოხარული ვარ, რომ დღეს ვიმყოფები ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, რომელიც საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას, რაგბის კავშირსა და რაგბის კლუბ „ლელოს“ თანამშრომლობასა და მტკიცე მეგობრობას უყრის საფუძველს. ესაა პირველი ნაბიჯი, რომელიც კორპორაციამ, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ქართული სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ფინანსური ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით გადადგა. ამით ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვაქვს სპორტის განვითარებისა და მომავალი თაობების სწორი ფიზიკური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საქმეში.

ჩვენი თანამშრომლობა ერთ წელიწადზეა გათვლილი, თუმცა იმედს გამოვთქვამთ, რომ ის მომავალშიც გაგრძელდება. „ლელო“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, ისტორიული კლუბია, რომელმაც საქართველოს ნაკრებს არაერთი მოთამაშე აღუზარდა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. მინდა ამ კლუბს ვუსურვო წარმატებები, რაც ჩვენთვისაც წარმატების ტოლფასი იქნება“.

ბათუ კევლიშვილი: „ჩვენთვის საოცნებო იყო მსგავსი პარტნიორობა და დიდი მადლობა ნავთობისა და გაზის კორპორაციას ამ თანადგომისთვის. „ლელო“ წლების განმავლობაში ყოველგვარი დახმარების გარეშე ხდებოდა საქართველოს ჩემპიონი თუ თასის მფლობელი. ეს მხარდაჭერა ჩვენთვის გახდება ერთგვარი მოტივაცია, რათა კიდევ უფრო მეტი და ხარისხიანი მოთამაშეები გავუზარდოთ საქართველოს ეროვნულ თუ ასაკობრივ ნაკრებებს“.

იოსებ ტყემალაძე: „მუდმივად ვამბობდი, რომ ახალგაზრდებში, სპორტში თანხის ჩადებაზე დიდი, მამულიშვილური საქმე არ არსებობს. მადლობა ბატონ გიორგის, რადგან თავიდანვე გამოთქვა მზაობა კეთილი საქმის გასაკეთებლად. საბოლოოდ, ეს ყველაფერი ჩვენი ნაკრების შედეგებზე და ქართული ხასიათის გამოვლინებაში აისახება“.

ბაჩო ხურციძე: „სასიხარულო დღეა, რადგან სირცხვილი იყო ისეთ სახელოვან და ტიტულოვან კლუბს, როგორიც „ლელოა“, სპონსორი რომ არ ჰყავდა. ეს არის კარგი მაგალითი კერძო სექტორისთვის, რადგან შიდა რაგბიში ინვესტირება დიდ შედეგებს იძლევა. სწორედ ეს ბიჭები, შიდა რაგბიში გამოწვრთნილი მოთამაშეები იცავენ ეროვნული თუ ახალგაზრდული ნაკრებების ღირსებას. მოხარული ვარ, რომ „ლელოს“ გამოუჩნდა ასეთი ღირსეული პარტნიორი. მადლობა ნავთობისა და გაზის კორპორაციას მხარდაჭერისთვის.

რაგბის კავშირი ინტენსიურადაა ჩართული კლუბებისთვის სპონსორების მოძიებაში და ვფიქრობ, ის რეფორმები და პროექტები, რომლებიც გავატარეთ, ან განხორციელების პროცესშია, კარგი სტიმულია სპონსორებისთვის ქართულ რაგბიში დასაბრუნებლად, ან პირველად ფეხის შემოსადგმელად. მუშაობა გრძელდება და მაქსიმალურად ვეცდებით, ყველა ქართულ გუნდს დავეხმაროთ სპონსორების მოძიებაში“.

◎ ლეგიონერები



დუბლს უმიზნებენ

ვაკე გვილია და ლუკა გაგნიძე პოლონეთის თასის გამარჯვებულები გახდნენ. ქართველი ფეხბურთელების „რაკუვმა“ ფინალში ნიკა კვეკვესკირის „ლეხი“ 3:1 დაამარცხა.

გვილია 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე იყო, ხოლო გაგნიძე განაცხადში არ ყოფილა. თავის მხრივ, კვეკვესკირმა მოედანზე მხოლოდ ბოლო ექვსი წუთი გაატარა. აქვე გეტყვით, რომ „რაკუვმა“ ისტორიაში მეორედ მოიგო პოლონეთის თასი, თანაც ზედიზედ. სხვათა შორის, „რაკუვი“ და „ლეხი“ პოლონეთის ჩემპიონატშიც მთავარი კონკურენტები არიან და სეზონის დასრულებამდე 3 ტურით ადრე 65-65 ქულით ლიდერობას იყოფენ.

◎ კორტზე

რევანში

ნიკოლოზ ბასილაშვილი მადრიდის მასტერსის 1/16 ფინალში გავიდა. ქართველმა ჩოგბურთელმა სტარტზე იტალიელი ფაბიო ფონინი დაამარცხა.

ნიკოლოზმა შესანიშნავი თამაში ჩაატარა და მეტოქეს 7:5, 6:4 აჯობა. შეხვედრა საათსა და 21 წუთს გაგრძელდა. პირველ სეტში ბასილაშვილმა სამი ბრეიკი შეასრულა, რაც პარტიის მოსაგებად საკმარისი გამოდგა, მეორე სეტში კი გადამწყვეტი მეხუთე გეიმი აღმოჩნდა, რომელიც ნიკოლოზმა მეტოქის ჩაწოდებაზე მოიგო და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა. ამით ბასილაშვილმა რევანში აიღო აპენინელთან შარშანდელი მარცხისთვის და მასთან ანგარიში გაქვითა — 1:1.

ბასილაშვილმა 3 ეისი შეასრულა და ორმაგი შეცდომა არ დაუშვია, ხოლო ფონინის აქტივში 1 ეისი და 5 ორმაგი შეცდომა იყო.

აქვე გეტყვით, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილი 1/16 ფინალში ესპანელ ვუნდერკინდს კარლოს ალკარასს შეხვდება.

◎ ფორმულა-1

ორ ხმაში



„პორშე“ და „აუდი“ ერთი საავტომობილო გიგანტის — „ფოლკსვაგენის“ ცალკეული პრემიუმ შტოებია. პირველი უფრო სპორტულ ავტომობილებზეა ორიენტირებული, მეორე კი — მდიდრულზე. და როგორც ირკვევა, ორივემ ერთდროულად მოინდომა ფორმულა 1-ში გამოსვლა, ამას კი „ფოლკსვაგენის“ ჯგუფის ხელმძღვანელობა წინ არ აღუდგა.

ჯგუფის მთავარმა აღმასრულებელმა **ვოლფგანგ დისმა** განმარტა, რატომ დაუშვა მისმა კომპანიამ თავისი ორი შტოს კონკურენცია ფორმულა 1-ში. მისი თქმით, ორივე კომპანიისთვოს ფ1-ში გამოსვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. და ამის შანსი მათ მეორედ დიდი ხანი აღარ მიეცემოდათ.

არაოფიციალური ინფორმაციით, „პორშეს“ უკვე შერჩეული ჰყავს პარტნიორი. ესაა „რედ ბული“, რომელიც გერმანული კომპანიისგან ძრავებს მიიღებს. სწორედ ძრავებით შემოიფარგლება ფ1-ში „პორშეს“ ჩართულობა (ჯერჯერობით მაინც). რაც შეეხება „აუდის“, ის სპორტული ავტომობილების მწარმოებელი ბრიტანული კომპანიის, „მაკლარენის“ შესყიდვას აპირებს. და სავარაუდოდ, მსოფლიო ჩემპიონატში საკუთარი გუნდით იასპარეზებს.

„ფორმულა 1 მთელს მსოფლიოში წარმატებულად ვითარდება. მსოფლიო ჩემპიონატს შესანიშნავი სამარკეტინგო შტო აქვს, „ნეტფლიქსის“ მხარდაჭერა კი პოპულარობას კიდევ უფრო გაზრდის. საერთო ჯამში, თანამედროვე ავტოსპორტში მნიშვნელობა მხოლოდ ფ1-ს აქვს. ამიტომ, თუ თქვენს კომპანიას რბოლებში მონაწილეობა სურს, ესე იგი, მისი გზა ფ1-ზე გაივლის, რადგან ამ შემთხვევაში, მარკეტინგული ეფექტი ყველაზე მაღალი იქნება. გარდა ამისა, მალე გაიღება ფანჯარა, რომელიც ჩემპიონატში ჩაბმისთვის კარგ შესაძლებლობას იძლევა. ძრავების ახალი რეგლამენტის გამო, ყველა მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში აღმოჩნდება“, — ყვება დისი.

ტრანზიტული ტვირთი - 5000 ტონა დიზელი სომხეთისთვისაა განკუთვნილი!

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო ტელეკომპანია „ტვ პირველის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„ტელეკომპანია „ტვ პირველმა“ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს, ბათუმის პორტში მომსახურებას უწევენ რუსულ სანქცირებულ გემებს და ეხმარებიან მათ სანქციებისგან თავის დაღწევაში.

2 მაისს, ბათუმის საზღვაო ნავსადგურში შემოვიდა რუსეთის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერი, სახელწოდებით: IVL Pride. ტრანზიტული ტვირთი — 5000 ტონა დიზელი განკუთვნილია მესამე სახელმწიფოსთვის, კერძოდ, სომხეთისთვის. ამ მომენტისთვის მიმდინარეობს გადმოტვირთვის ოპერაცია როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ნორმების დაცვით. ევროკავშირის სანქციების მე-6 პაკეტი, რომელიც მოიცავს რუსეთის დროშის ქვეშ მცურავი გემებისთვის ევროკავშირის პორტებში შესვლის აკრძალვას, ითვალისწინებს გამონაკლისებს ენერგეტიკის (ნავთობი, ნავთობპროდუქტები), სოფლის მეურნეობის, საკვები პროდუქტებისა და ჰუმანიტარული დახმარების მიმართ. შესაბამისად, ტანკერისთვის გაწეული მომსახურება არ წარმოადგენს სანქციების დარღვევას, ან სანქციებისთვის გვერდის ავლის ხელშეწყობას“, — აღნიშნულია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს განცხადებაში.

1-ლი მაისიდან მეცხვარე ფერმერები სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტების მომსახურებით სარგებლობენ

ცხვრის სეზონურ საძოვრებზე გადაადგილების დაწყების პარალელურად, კახეთის, ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში არსებულ ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტებში მუშაობა განახლდა, — ამის შესახებ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარები ბიოუსაფრთხოების წესების დაცვით უზრუნველყოფენ პირუტყვის დამუშავებას ექტოპარაზიტების საწინააღმდეგოდ, რაც ცხოველების დაავადებების პრევენციასა და შემცირებას უწყობს ხელს.

კახეთის, ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში (დედოფლისწყარო, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, დუშეთი/ქუბრიაანთკარი), ცხოველთა გადასარეკი ტრასების საკვანძო ადგილებში, დღეისათვის, უახლესი სტანდარტების 7 ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტი ფუნქციონირებს. პუნქტებზე განთავსებულია პირუტყვის სადეზინსექციო-გასაბანი აუზები, სადეზინსექციო საშხაპეები, წყლის რეზერვუარები, საწყობი, ვეტპუნქტი; ცხოველთა დამუშავებისას გამოიყენება მაღალი სტანდარტების ინსექტოაკარიციდული პრეპარატები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები მეცხვარე ფერმერებს უსასყიდლოდ ემსახურებიან.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონულ სამსახურებში.

მესტიაში დიალიზის სერვისი ამოქმედდა

პროცედურა ორმა პაციენტმა უკვე ჩაიტარა. მესტიის მუნიციპალური საავადმყოფო ჰემოდიალიზის სერვისის გასაწევად შესაბამისი აპარატურითაა აღჭურვილი. ადგილზე პაციენტებს რუხის კლინიკის დიალიზის ცენტრის სპეციალისტები მოემსახურებიან, პარალელურად,თბილისში გადამზადებას გადიან ადგილობრივი კადრები - ორი ექიმი და ორი ექთანი, რის შემდეგაც ისინი დიალიზით მოსარგებლე პაციენტებს მესტიის საავადმყოფოში მოემსახურებიან.

სვანეთში მცხოვრებ ჰემოდიალიზზე დამოკიდებულ პაციენტებს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად, კვირაში სამჯერ ზუგდიდში ჩასვლა უწევდათ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან, დამატებით დროსთან და ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ხშირად პაციენტებს, დიალიზის თერაპიის ჩასატარებლად, საკუთარი სახლკარის დატოვებაც უწევდათ. რეგიონებში დიალიზის სერვისის ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის მინისტრმა აპრილის დასაწყისში დააანონსა. ზურაბ აზარაშვილის გადაწყვეტილებით, მესტიის გარდა, სერვისი უახლოეს პერიოდში ლანჩხუთში, ამბროლაურში, თიანეთსა და ყაზბეგშიც ამოქმედდება.

ბორჯომში ქალი ქმარმა დაჭრა!

ბორჯომში 40 წლამდე ქალი ქმარმა დაჭრა, მას 16-მდე ჭრილობა აქვს მიყენებული, დაჭრილს უკვე ჩაუტარდა ოპერაცია. ამ ეტაპზე იგი კლინიკაში რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება, — ინფორმაციას ადგილობრივი მედია, „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, შემთხვევა ბორჯომში, ვაჟაფშაველას ქუჩაზე, 1 მაისს მოხდა. რა გახდა დაჭრის მიზეზი ამ ეტაპზე უცნობია.

„ჩვენთან ქალბატონი მრავლობითი დაზიანებით შემოიყვანეს. 16-მდე ჭრილობა აქვს მიყენებული. დაზიანებული იყო შინაგანი ორგანოები, ჩაუტარდა ოპერაცია, ამ ეტაპზე პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. რჩება რეანიმაციულ განყოფილებაში“, — ამბობს ბორჯომის „ჯეო ჰოსპიტალის“ ხელმძღვანელი, ირაკლი დიასამიძე ადგილობრივ მედიასთან.

ტრაგედია ქვემო ხოდაშენში

60 წლამდე ქალი და ბავშვები გაჩერებაზე იდგნენ, რა დროსაც მაღალი სიჩქარით მიმავალი ავტომანქანა ჯერ ქალს დაეჯახა, შემდეგ კი 11 წლის ბავშვს. ქალი ადგილზე გარდაიცვალა, ბავშვი კი უმძიმესი მდგომარეობით თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც ცნობილია, გარდაცვლილი ქალი გვერდით სოფელში, სკოლაში მიდიოდა, ის მასწავლებელი იყო. დაშავებული ბავშვი კი, ამავე სკოლის მოსწავლეა. ექიმების განმარტებით, ბავშვის მდგომარეობა მძიმეა და შესაძლოა, ის თბილისში გადაიყვანონ.

ორი ძებნილი ლიბანელი ამერიკას გადაეცა

საქართველოს პროკურატურასა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს შორის გაფორმებული ერთობლივი დეკლარაციის ფარგლებში, აშშ-ის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ლიბანის რესპუბლიკის ორი მოქალაქის საქართველოდან ამერიკაში ექსტრადიცია განხორციელდა, — ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განმახორციელებელი ლიბანური ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ამავე ორგანიზაციის წევრი, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში ნარკოტიკული საშუალებების ვაჭრობით მიღებული დიდი ოდენობით შემოსავლების შეგროვებას, ლეგალიზაციასა და სამოქალაქო ბრუნვაში მიქცევას ახორციელებდნენ, ხოლო გაწეული მომსახურებისთვის გარკვეული ოდენობის შემოსავალს იღებდნენ. ძებნილი ლიბანის მოქალაქეები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 2021 წლის 25 სექტემბერს დაიკავეს. საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, აშშ-ში ექსტრადიცია დასაშვებად ცნო როგორც თბილისის საქალაქო სასამართლომ, ისე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. საქართველოს პროკურატურა მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლებს პარტნიორ ქვეყნებთან ძებნილი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის მიზნით“, — აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

სანთელი

ეკა მიქაუტაძე

დედისერთობა როგორ უნდა შეაქო კაცმა, მაგრამ თავისებური ხიბლი თურმე მასაც ჰქონია.

მამის მხრიდან 14 ბიძაშვილ-მამიდაშვილი ვანებივრებდით ერთმანეთს ყურადღებით და ცოცხლად დარჩენილი ათეული დღემდე ვცდილობთ ჩვენი მშობლების ჩაყრილი სიკეთის ნერგი ვახაროთ, მაგრამ დეიდაშვილობა მაინც სულ სხვა ყოფილა — ტყუილად როდია ნათქვამი, დეიდას დედის სუნი უდისო.

შუათანამ — კობამ, რომელიც კახეთში, რაჭველთა და იმერელთა სოფელ ლელიანში, მიქაუტაძეთა სამკვიდროში გვარის გამგრძელებლის სტატუსით გარემოსილი იზრდებოდა, საუკუნის დასაწყისში სრულიად ახალგაზრდამ, ქრისტეს ასაკში ჩაგვწყვიტა გული, ნაბოლარა — ეკა კი 40 დღის წინათ გაგვიფრინდა.

6 წლით უფროსს კარგად მახსოვს მისი დაბადება და ონში — დედულეთში ჩამობრძანება, სადაც თაობათა დამფრთიანებლის, იქაური ბაგა-ბაღის გამგის მაყვალა ჯაფარიძისა და რაიონის კოლორიტის, ხელოვან-უნივერსალის ნესტორ დუშუაშვილის ოჯახში სასკოლო ასაკამდე და შემდეგაც — არდადეგების პერიოდში ცხოვრებისეული გაკვეთილების კურსს ვისმენდით.

კოჭებშივე ეტყობოდა, თავისუფლების როგორი ტრფიალი იქნებოდა. დიახ, ერთეულები თუ მოახერხებდნენ მისებრ აკვნის არტახებიდან თავის დახსნას, თანაც სისტემატურად. აღარაფერს ვამბობ მოყვასისადმი სიამოვნების მინიჭების მისეულ ნიჭზე. სიმბოლურიცაა, ბევრისათვის სანატრელ სასიძოს — შალვა ბაძრაძის ბედი საბედისწერო, 1991 წელს რომ დაუკავშირა — მათმა ზღაპრულმა ქორწილმა ქვეყანაში მიმდინარე შინაომისა და დამანგრეველი მიწისძვრის კვალდაკვალ უამრავ ახლობელს მოჰგვარა შვება.

ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ თუ ეს ერთგულების ფორმულა ერთხელ გადაგიხსნიდა გულს, ბოლომდე გადაგყვებოდა თან, მაგრამ საკუთარი ღირსების მოჭარბებული გრძნობა რაიმეში ჩაჭრილი ერთ დროს ძვირფასი პიროვნების დაკარგვისკენაც გადაადგმევინებდა ნაბიჯს. ეტყობა, ამიტომაც უნდა მოვფრთხილებოდით კიდევ უფრო მეტად ჩვენი სანათესაოს გვირგვინს.

სამაგალითო მეუღლე, დედა, ბებო, სიდედრი, მძახალი, ჩემპიონი მეგობრობაში, ბიძის, მამიდისა და დეიდის იმედი — ასეთი იყო და ასეთად გვემახსოვრება მუდამ სიყვარულისთვის დაბადებული ეკა მიქაუტაძე.

ნათელი და სანთელი, დაო!

გია პლატონიშვილი

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, ელგუჯა ორჯონიკიძე, ნოდარ ბოლოთაშვილი სამძიმარს უცხადებენ ზაურ შერგელაშვილს მეუღლის

დალი მიხეილის ასული მერაბიშვილი-შერგელაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

პატიკავენ

ხათუნა აგლაძეს! ნუცა ცაკაშვილს! ნანა ჭიჭინაძეს!

ჩვენო ძვირფასებო, გულწრფელად გილოცავთ მწიგნობართა ასოციაციის მიერ გიორგობის დღესთან დაკავშირებით დიპლომებით დაჯილდოებას.

მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი დედოფლისწყაროს სტუმარი და ლექციის წაკითხვის დროს თავად განმეცადა დამსწრე საზოგადოების ცოდნის სიღრმე და ინტერესი.

გისურვებთ მრავალ ახალ წარმატებას თქვენი დიდებული კუთხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ!

პატივისცემით,
აკადემიკოსი **ინესა მერაბიშვილი.**

გამოჯანმრთელება ვუსურვოთ პატარა დათის!

თბილისში, შარტავას ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული 8 წლის დათი ქოქრაშვილი 1-თვიანი ხელოვნური ძილიდან გამოიყვანეს. ბავშვი კვლავ სტაბილურად კრიტიკულ მდგომარეობაშია. დათი ქოქრაშვილი მკურნალობას ისრაელში, კლინიკა SHEBA HOSPITAL-ში განაგრძობს. მას ისრაელში ყოფნისას მე-6 ოპერაცია ჩაუტარდა.

დათის ოჯახის წევრები უდიდეს მადლიერებას გამოხატავენ ბავშვის გარშემო გაერთიანებული კეთილისმოსურნე ადამიანის მიმართ. დახმარების მსურველებს შეუძლიათ თანხა გადარიცხონ შემდეგ რეკვიზიტზე:

TBC: 1GE05TB7962745064300024 BOG: 1GE90BG0000000101545483

მიმღები: ქრისტინე მამუკაშვილი, დედა დათისთვის

ბავშვს ავტომობილი 31 მარტს, დილით დაეჯახა. მას მარჯვენა ფეხის ამპუტაცია დასჭირდა.

4 წლის... „კრიმინალი“

ნიდერლანდებში პოლიციამ იპოვა 4 წლის ბიჭი, რომელიც ქუჩაში პიჟამითა და ფეხშიშველი მიდიოდა. გაირკვა, რომ იქამდე, ბავშვი სახლიდან დედის ავტომობილით გაიპარა.

როგორც ირკვევა, ბავშვმა მაშინ გაიღვიძა, როცა მამამისი სამსახურში მიდიოდა. როგორც ჩანს, ძილგატეხილმა თავის გამხიარულება მოინდომა, დედის ავტომობილის გასაღები აიღო და საჭესთან დაჯდა. სახლთან ახლოს, ის ორ გაჩერებულ ავტომობილს დაეჯახა, ავტომობილიდან გადმოვიდა და ფეხით გააგრძელა გზა. პოლიცია გამვლელმა გამოიძახა, რომელმაც ქუჩაში მარტო მიმავალი, პიჟამაში გამოწყობილი, ფეხშიშველი ბავშვი შენიშნა. ბიჭი მშობლებთან უკვე დააბრუნეს. შემთხვევის შედეგად, არავინ დაშავებულა.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

პირველი ფრენა რიგადან ბათუმში

7 მაისს, რიგადან ბათუმის მიმართულებით პირველი ფრენა შესრულდება. ამასთან დაკავშირებით, აჭარის ტურიზმის დეპარამენტისა და ტურიზმის საკონვენციო ბიუროს წარმომადგენლებმა ლატვიის დედაქალაქში საქმიანი შეხვედრები და პრეზენტაციები გამართეს.

რიგაში, ავიაკომპანია „Air Baltic“-ისა და ადგილობრივი ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრისას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თინათინ ზოიძემ რეგიონის მრავალფეროვან ტურისტულ პროდუქტებსა და რიგა-ბათუმის ფრენების დაწყების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ავიაკომპანია „Air Baltic“ რიგადან ბათუმის მიმართულებით კვირაში ორჯერ სექტემბრის ბოლომდე იფრენს. როგორც ავიაკომპანიაში აცხადებენ, მოთხოვნა ბათუმის მიმართულებაზე მაღალია, როგორც ლატვიაში, ისე ესტონეთსა და ლიეტუვაში. შესაბამისად, ავიაკომპანია გეგმავს შიდა დამაკავშირებელი ფრენების დანიშვნას, რათა ტურისტებმა რიგის გავლით სამივე ქვეყნიდან შეძლონ ბათუმში ჩამოფრენა.

ბათუმისკენ ჰერი-ჰერი!

საქართველოს რკინიგზა 6-დან 15 მაისის ჩათვლით ბათუმის მიმართულებით დამატებით რეისებს ნიშნავს.

„ძვირფასო მგზავრებო!

გაზრდილი მგზავრთ ნაკადის გამო, საქართველოს რკინიგზა 6-დან 15 მაისის ჩათვლით ბათუმის მიმართულებით დამატებით რეისებს ნიშნავს. ბილეთების შეძენა შესაძლებელია: ჩვენი ვებგვერდის საშუალებით: სწრაფი გადახდის აპარატებით; საქართველოს რკინიგზის სალაროებში; საქართველოს რკინიგზის პარტნიორი კომპანიების მეშვეობით“.

რა გასაკვირია ასეთი ომის დროს, რომ ანჯელინა ჯოლი ეცნო...

უკრაინელი ჟურნალისტები გაესაუბრნენ ბიჭს, რომელმაც ლვოვის ერთ-ერთ კაფეში შესულ ანჯელინა ჯოლის ყურადღება არ მიაქცია. ბიჭი 14 წლის არის, მას იულიანი ჰქვია და ის მერვე კლასში სწავლობს.

მან კაფეშ შესვლა იმიტომ გადაწყვიტა, რომ სამარშრუტო ტაქსის ლოდინით დაიღალა. სწორედ ამ დროს იქვე ჰოლივუდის ვარსკვლავი აღმოჩნდა.

„მაგიდასთან დავჯექი და გავიგე, რომ ვიღაც ინგლისურად საუბრობს. ვიფიქრე, რომელიმე ამერიკელი შტთეფპკფქ-ვარსკვლავი იქნებოდა. ყურადღება არ მივაქციე. ვნახე, მაგრამ ვერ მივხვდი, ვერ ვიცანი“, — განაცხადა ბიჭმა და აღნიშნა, რომ ჯოლის მონაწილეობით ბევრი ფილმი აქვს ნანახი, თუმცა რეალობაში ის სხვანაირია. იულიანი არ განიცდის იმას, რომ მიმების გმირი გახდა, პირიქით, მას მიაჩნია, რომ ახლა ყველას სჭირდება პოზიტიური ემოციები.

„ავატარი: წყლის გზა“

რეჟისორ ჯეიმს კამერონის ცნობილი ფილმის — „ავატარის“ მეორე ნაწილი ეკრანებზე წლის ბოლოს გამოვა. გამოცემის ინფორმაციით, გასაჯაროვდა სურათის სახელწოდებაც: „ავატარი: წყლის გზა“. ფილმის ტრეილერს კი კინოთეატრებში პირველად 6 მაისს აჩვენებენ.

ფილმის სიუჟეტი პირველი სურათის მოვლენებიდან 10 წლის შემდეგ ვითარდება. მთავარი გმირები მაყურებლებისთვის პირველი ნაწილიდან ცნობილი ჯარისკაცი დედამიწიდან ჯეიკ სალი და პლანეტა პანდორას ბინადარი ნეიტირი იქნებიან, რომლებიც შვილებს ზრდიან. „წყლის გზის“ პრემიერა 2002 წლის 16 დეკემბერს შედგება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟანჟავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 6 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0590; ევრო - 3.2190
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8439;
100 რუბლი - 4.3043; თურქული ლირა - 0.2063;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8046;
1000 სომხური დრამი - 6.8223.

ამინდი 4 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+19
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge